მეცხოველეობა—დამკვრელური უბანი





მეცხოველეობა გადავაქციოთ მოწინავე რენტაბელურ დარგად! ამ დევიზით შრომობენ ახლა რესპუბლიკის კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საკოლმეურნეობათაშორისო და სამეურნეობათაშორისო ორგანიზაციების მშრომელები. დიდი მუშაობა მიმდინარეობს პირუტყვისათვის უხეში საკვების, სენაჟის, სილოსის და სხვა საკვების მოსამარაგებლად.

სურათებზე: მარცხნიდან: გურჯაანის მეცხოველეობის კომბინირებული საკვების საწარმოს საამქროში ჟაცის ყლორტებისა და ფოთლის გადამუშავება; წითელწყაროს რაიონის ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობის ცხვრის ფარა გაიშალა სოფლის მისადგომებზე, მეცხვარეები ემზადებიან ზამთრის საძოვრებზე გადარეკვისათვის; ზუგდიდის რაიონის სოფელ ჯიხაშკარის კოლმეურნეობაში სასილოსე მასის აღება სილოსის ამღები კომბაინით; მწვანე მასით იტვირთება ავტომანქანები; მეცხოველეობის ახალი საკოლმეურნეობათაშორისო კომბინატი აბაშის რაიონში.

გ. გერსამიას, შ. ნხეტიანის, კ. ყუშუნიას და ს. ჯანიაშვილის ფოტო.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1975
პარასკევი
12
სექტემბერი
№ 214
(16340)
ფასი
2 კაპ.
1975

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს რწმენას, რომ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტები, საოლქო და სამხარეო კომიტეტები, შესაბამისი საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები სათანადო დასკვნებს გამოიტანენ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმზე გამართული აზრთა გაზიარებიდან და ერთხელ კიდევ გულდასმით აწონ-დაწონიან მეცხოველეობის აღმავლობის შესაძლებლობებს.

ლ. ბრეჟნევი.

სწრაფი ტემპით დავამზადოთ საკვები!

საკვების დამზადება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 8 სექტემბრისათვის (პროცენტობით)

	სულ უხეში საკვები	თივა	სენაჟი	სხვა უხეში საკვები	ბზა სილოსი
ახალქალაქის	95	91	100	51	33
ბოგდანოვკის	78	61	103	31	87
ახალციხის	115	70	105	93	9
ადიგენის	150	72	114	81	57
ასპინძის	118	72	102	59	36
ხაშურის	147	125	149	92	13
ქარელის	111	109	106	87	18
გორის	133	130	127	84	1
კასპის	96	74	116	70	—
ბორჯომის	105	75	115	49	47
საგარეჯოს	119	103	90	99	26
გურჯაანის	129	92	146	68	73
სიღნაღის	116	156	77	95	19
წითელწყაროს	107	112	94	97	55
თელავის	91	108	68	78	11
ახმეტის	100	49	83	91	28
ყვარლის	106	61	63	89	23
ლაგოდეხის	87	77	44	88	27
გარდაბნის	156	149	104	114	22
მცხეთის	118	103	111	55	15
მარნეულის	116	66	145	100	23
გოლნისის	95	72	68	67	22
წალკის	77	58	104	39	37
დუშეთის	98	72	109	114	—
თეთრი წყაროს	96	78	97	64	23
დმანისის	86	66	99	62	95
თიანეთის	111	71	135	69	—
ყაზბეგის	58	58	—	—	—
სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	93	68	100	68	1
წყალტუბოს	25	91	61	4	6
სამტრედიის	42	85	112	7	50
წულუკიძის	21	16	48	5	—
ვანის	57	144	100	7	54
მაიაკოვსკის	68	278	112	20	31
ზესტაფონის	49	95	84	15	14
თერჯოლის	51	240	156	19	49
ჭიათურის	50	178	89	12	6
საჩხერის	56	112	108	25	12
ორჯონიკიძის	34	117	100	—	—
ტყიბულის	18	74	70	0,2	—
ონის	103	108	104	4	48
ამბროლაურის	66	100	80	8	—
ცაგერის	49	100	82	—	28
ლენტეხის	70	74	100	—	—
აბაშის	37	95	102	—	46
ცხაკაიას	30	22	100	—	53
გეგეჭკორის	26	89	106	—	5
ზუგდიდის	21	27	61	—	—
ხობის	19	13	79	—	2
წალენჯიხის	25	26	84	—	—
ჩხოროწყუს	26	45	74	—	21
მახარაძის	11	24	36	—	4
ლანჩხუთის	40	23	179	—	14
ჩოხატაურის	52	88	103	—	3
აფხაზეთის ასსრ	28	60	51	1	2
აჭარის ასსრ	88	107	50	—	17
სულ	86	76	98	50	28

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო

სტუდენტთა საკავშირო სამშენებლო რაზმის მონაწილეებს

ძვირფასო მეგობრებო!

გულითადად გილოცავთ დიდ შრომითს წარმატებას!

ასობით სხვადასხვა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ობიექტი, ათასობით კილომეტრი ელექტროგადამცემი ხაზები, რკინიგზები და გზატკეცილები, ახალი საცხოვრებელი სახლები, სკოლები და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები, საავადმყოფოები და კლუბები, რომლებიც სტუდენტთა სამშენებლო რაზმებმა აამენეს მეცხრე ხუთწლედის წლების მანძილზე, — ეს არის კონკრეტული წვლილი სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში. მოსწავლე ახალგაზრდობის მოქალაქეობრივი და პოლიტიკური სიმწიფის ნათელი გამოვლინება. მუშებთან და კოლმეურნეებთან თქვენი ერთობლივი შრომა მომავალ სპეციალისტთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური და შრომითი წრთობის ჩინებული სკოლაა. მესამე შრომითი სემესტრი უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის განუყოფელი შემადგენელი ნაწილი უნდა გახდეს.

კომუნისტური შენებლობის პროგრამას შემდგომი განხორციელება თქვენგან, დღევანდელი სტუდენტებისა და მოსწავლეებისაგან, მოითხოვს ღრმა პროფესიულ ცოდნას, შემოქმედებითს ენთუზიაზმსა და დაუღალავ ძიებას. ღირსეულად განაგრძეთ უფროსს თაობათა გმირული ტრადიციები, გამოიმუშავეთ კომუნისტური დამოკიდებულება შრომისადმი, მორალური სიწმინდე, განმსჭვალეთ სოციალისტური სამშობლოს სიყვარულით, პროლეტარული ინტერნაციონალიზმით.

გისურვებთ, ახალგაზრდა მეგობრებო, სკკპ XXV ყრილობას შეხვედროდეთ ფრიადზე სწავლით, დამკვრელური შრომით, , მეცნიერულ-ტექნიკური შემოქმედებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობით.

ლ. ბრეჟნევი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა თათბირი, რომელშიც განიხილა რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების, მათი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესების ამოცანები ზემდგომი ორგანოების, აგრეთვე თვით სამინისტროებისა და უწყებების დადგენილებათა შესრულებისადმი კონტროლის საქმეში.

თათბირზე მიწვეული იყვნენ საქართველოს სსრ და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრები, სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები, უწყებათა ხელმძღვანელები, ავტონომიური ოლქის ხელმძღვანელი მუშაკები, სამინისტროთა და უწყებათა პარტიული ორგანიზაციების მდივნები.

თათბირი გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა გ. ვ. კოლბინმა.

ინფორმაციები გააკეთეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საერთო განყოფილების გამგემ ო. შ. ქაჯაიამ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველმა ზ. გ. იხელდიანმა.

საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ საქართველოს სახმშენის თავმჯდომარე ი. ნ. ციციშვილი, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრის პირველი მოადგილე ე. ი. ბუდჩენკო, საქართველოს სსრ ხეტყისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის მინისტრი შ. ა. დოლიძე, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრი თ. ნ. დავითაშვილი, საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს პარტიული ორგანიზაციის მდივანი მ. ლ. სულაბერიძე, აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე გ. ს. ცოფეხია, სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გ. ი. მარდანოვი, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ა. ჯაში.

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა გ. ვ. კოლბინმა.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე შ. დ. კიკნაძე.

(საქინფორმი).

22.500 ტონა ჩაი მეათე ხუთწლედის ანგარიშში

პარტიის XXV ყრილობისათვის მზადების დღეებში გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში განსაკუთრებით ისახელეს თავი წალენჯიხელმა მეჩაიეებმა. მათ ჯერ კიდევ შარშან შეასრულეს ჩაის კრეფის ხუთწლიანი გეგმა-ვალდებულება. მათს მამაცურ შრომაზე მეტყველებს ის, რომ ხუთწლედის დამამთავრებელ წელს მთლიანად იმუშაეს მეათე ხუთწლედის ანგარიშში და **გადასამუშავებლად ჩაის ფაბრიკებს ჩააბარეს 22.500 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.** ამით გადაჭარბებით შესრულდა წლეულს ნაკისრი ვალდებულება.

რაიონის მეჩაიეებმა გადაწყვეტეს სეზონის დამთავრებამდე **დამატებით კიდევ მოკრიფონ 1.000 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.** ეს „კომუნისტის“ რედაქციას აცნობეს საქართველოს კომპარტიის წალენჯიხის რაიკომის პირველმა მდივანმა **გ. ნაჭყებიამ** და რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **ვ. ჭანტურიამ.**

დანინაურდნენ

გულრიფშის რაიონის მეჩაიეებმა კარგა ხანია ხუთწლედის გეგმა-ვალდებულება გაანაღდეს — 7.605 ტონის ნაცვლად სამშობლოს მიჰყიდეს 8.172 ტონა „მწვანე ოქრო“. ვადამდე გაანაღდეს აგრეთვე მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის გეგმა-ვალდებულება. გეგმით დასახული 1.720 და ვალდებულებით ნაკისრი 1.850 ტონის ნაცვლად მრეწველობას ჩააბარეს 1.860 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. მოკრეფილი ფოთლის 78 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

დიდი ჩაისათვის გაჩაღებულ ლაშქრობაში თავი გამოიჩინეს დრანდის ლესელიძის სახელობის, ფშაფის კიროვის სახელობის, სოფელ ვლადიმეროკის ლენინის სახელობის კოლმეურნეობებ ი ს მეჩაიეებმა.

რაიონის ფარგლებს გასცდა სახელოვანი მეჩაიეების — ნელი ნაჭყებიას, სულიკო ჩეჩიას, თალიკო ფაცაციას, ალექსანდრა წურწუმიას, ლიანა მირცხულავას, ლიდა ელექჩიანის, ეუფემია ბერულავას, ანელა სარიანის, ეთერ გოგიას და სხვების სახელები. თვითეულმა ხუთწლიანი პირადი დავალება 4 წელიწადში გაანაღდა და მას შემდეგ მეათე ხუთწლედის ანგარიშში აბავევებენ „მწვანე ოქროს“.

დ. დადიანი.



ერთველი — დროით, უდანაკარგოდ!

სად რამდენი მოიკრიფა

(11 სექტემბრისათვის)

ცხრილში შეტანილია ის რაიონები, სადაც რთველია.

რაიონები	ვალდებულება (ტონობით)	მოკრეფილია (ტონობით)
გურჯაანი	80.000	55.214
თელავი	45.000	22.202
ყვარელი	29.000	16.694
სიღნაღი	24.485	21.808
ახმეტა	23.000	5.212
საგარეჯო	20.000	3.249
წითელწყაროს	19.000	9.691
ლაგოდეხი	5.500	2.543
მარნეული	15.860	2.833
გარდაბანი	9.200	394
მცხეთა	10.000	567
გოლნისი	8.725	32
ზესტაფონი	26.850	122
თერჯოლა	18.100	72
მაიაკოვსკი	14.300	347
საჩხერე	5.450	87
სულ მოკრეფილია		140.977

ორგანიზებულად, მაღალხარისხოვნად კარიფოთ ყურძენი და მივიტანოთ ღვინის ქარხნებში. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველი დაგვიანებული დღე, საათი ნიშნავს საბოლოოდ დაკარგოთ ტონობით ყურძენი.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ რაც უფრო ხანმოკლეა რთველი, მით უფრო მეტია გამოსავლიანობა.



სამასი ტონა ყურძენი გეგმის გადამეტებით

ხირსელმა მევენახეებმა პირობა შეასრულეს

ხირსის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა პარტიის XXV ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას იკისრა წლეულს გეგმის გადამეტებით სახელმწიფოსათვის 300 ტონა ყურძენი მიეყიდა. მეურნეობის დირექციამ, პარტიულმა ორგანიზაციამ ყველაფერი იღონეს პირობის შესასრულებლად.

გადავწყვეტეთ რთველი მოკლე ვადაში — **თორმეტ სამუშაო დღეში დაგვემთავრებინა.** შესასრულებელი სამუშაოები წინასწარ დაიგეგმა. განსაკუთრებით კარგად მოეწყო სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაცია, დავაწესეთ გარდამავალი დროშები, ფულადი ჯილდოები.

რთველში მონაწილეობას იღებდნენ მეურნეობის მოშამოსამსახურენი. რაიონის საწარმოებისა და დაწესებულებების მუშაკები, კოლმეურნეები.

გვინდა სიხარულით ვაცნობოთ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებს, რომ სიძნელეები გადავლახეთ. ხირსის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა ნაკისრი ვალდებულება გაანაღდა — **გეგმით გათვალისწინებული 2.000 ტონის ნაცვლად სახელმწიფო მარაგში 2.300 ტონა ყურძენი მიიტანა.**

განსაკუთრებით ისახელეს თავი ივ ბერიკაიძემ, რომლებსაც დავით ალადაშვილი, არტემ მიშვერიძე და ჟენია ალხანაშვილი ხელმძღვანელობენ. მოწინავე მევენახეებმა — სოფიო კრიხელმა, მარიამ სანაძემ, ბიკი ჭალიძემ, და სხვებმა გეგმის გადამეტებით ათობით ტონა ყურძენი მოკრიფეს და მიუწონეს სახელმწიფო მარანს.

გ. დავითაშვილი,
სიღნაღის რაიონის ხირსის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი;

ჯ. ზედელაშვილი,
პარტბიუროს მდივანი.

მეცხოველეობას — საკუთარი წარმოების საკვები

მეტი საკვები მეტი ხორცია და რძეა

შემოდგომა სასოფლო-სამეურნეო წლის გადამწყვეტი ეტაპია. იგი აჯამებს მიწათმოქმედთა შრომის შედეგებს, ავალებს მათ იმუშაონ განსაკუთრებული სიზუსტით, შეწყობილად, ორგანიზებულად, იზრუნონ მომავალი წლის მოსავალზე, დაამზადონ მეცხოველეობისათვის რაც შეიძლება დიდი რაოდენობის საკვები.

საკვებდამამზადებლებს ახლა ყველაზე დაძაბული დრო აქვთ. უნდა გააძლიერონ „მწვანე მკის“ ტემპი, გამოიყენონ საკვების მთელი რეზერვები, დაზოგონ დრო.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პირველადი პარტიული ორგანიზაციები, ხელმძღვანელები, სპეციალისტები სათავეში უნდა ჩაუდგნენ სოციალისტურ შეჯიბრებას და ქმედითი ღონისძიებანი განახორციელონ, რათა თვითეულმა მეურნეობამ, თვითეულმა ფერმამ სანიმუშოდ მოაწყოს პირუტყვის გამოზამთრება. განსაკუთრებული უურადღება უნდა დაეთმოს მთელ რიგ მეურნეობებში შექმნილ საკვების ძნელი მდგომარეობის გამოსწორებას. ეს, პირველ რიგში, ეხება დმანისს, წულუკიძის, ზესტაფონის, ზუგდიდის, წალენჯიხისა და ზოგიერთ სხვა რაიონებს, აფხაზეთის ასს რესპუბლიკას.

ყველგან არის პირობები თივით, სენაჟითა და სხვა სახეობათა საკვებით პირუტყვის სრული უზრუნველყოფისათვის. იქ, სადაც მთელი პასუხისმგებლობით მიუდგნენ ამ ამოცანის შესრულებას, შეიქმნა საკვების დიდი მარაგი. გადაჭარბებით შეასრულეს თავისა და ხენაჟის დამზადების გეგმები ხაშურის, გორის, მცხეთის, მაიაკოვსკის, თერჯოლის, ონის, საჩხერისა და მთელმა რიგმა სხვა რაიონებმა.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს იმ მეურნეობების გამოცდილება, რომლებიც იყენებენ საკვების გადამუშავებისა და გამდიდრების მოწინავე ტექნოლოგიას. დასილოსება, დასენაჟება, ბალახის ფხვნილის მომზადება, ნამჯის დამუშავება ყუათიანობის გაუმჯობესების მიზნით — ყველა ამ მეთოდმა გაამართლა თავისი დანიშნულება. მათი გონივრული გამოყენებით შეიძლება დამზადდეს ისეთი საკვებიც, როგორიცაა ლელჭაში, ძირხვენების ღეროფოჩები, აკაციის ყლორტ-ფოთლები და სხვ.

უნდა გავაძლიეროთ აგრეთვე სილოსის ჩადების ტემპი. ამისათვის რესპუბლიკაში ყველა შესაძლებლობაა. (საქინფორმი)

დარგი ფეხზე დგება

საქართველოს მეცხოველეთა საგრუნავი

თაბისებური საქართველოს სოფლის მეურნეობა. იგი სახალხო მეურნეობას აძლევს ჩაის, ციტრუსს, თამბაქოს, ხილს, აქ მოჰყავთ შესანიშნავი ჯიშის ყურძენი და ეთერზეთოვანი კულტურები. მთლიანი წარმოების თითქმის მესამედი ფერმების პროდუქციას უჭირავს.

ეს სოფლის მეურნეობის დიდი დარგია, მაგრამ ჯერ ვერ არის საკმაოდ განვითარებული. შემთხვევით როდი აღინიშნა სკკპ XXIV ყრილობაზე, რომ საქართველოში სრულად არ იყენებენ მეცხოველეობის განვითარების შესაძლებლობებს. ამას ბევრი მიზეზი აქვს. ამ დარგს განსაკუთრებით დასაცავ დაღი შეცდომებმა, რომლებიც იყო სამეურნეო მშენებლობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის სტილსა და მეთოდებში. მეცხოველეობის საკითხებზე იღებდნენ მრავალ გადაწყვეტილებას, მაგრამ შემდეგ ორგანიზატორული მუშაობით არ განმტკიცებდნენ. დარგი მეცნიერებისა და მოწინავე პრაქტიკის მოთხოვნებს გაუთვალისწინებლად ვითარდებოდა. მაინც რა ძვრები მოხდა უკანასკნელ ხანს?

მოვიყვანთ ზოგიერთ ციფრს. მიმდინარე ხუთწლედის ოთხი წლის განმავლობაში წინა ხუთწლეულის იმავე პერიოდთან შედარებით ხორცის, რძისა და კვერცხის წარმოება გაიზარდა შესაბამისად ექვსი, ოთხი და თორმეტი პროცენტით. გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხიც. თუ 1970 წელს რესპუბლიკის მეურნეობები მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის მხოლოდ სამ პროცენტს აბარებდნენ უმაღლესი ნასუქობისას, ახლა ეს ციფრი 18-ს შეადგენს.

დადებითი ტენდენციები დაისახა მეტადრე განვლილ ორ წელიწადში. მეცხოველეობის მთლიანი პროდუქცია ამ ხნის განმავლობაში გადიდდა 18 პროცენტით, მკვეთრად იმატა ხორცის, რძის, კვერცხის წარმოების ზრდის ტემპმა, ამაღლდა ფერმების პროდუქტიულობა. აქ თავისი როლი შეასრულა პრაქტიკულმა ღონისძიებებმაც, რომლებიც ხორცეულდება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების, მეცნიერების მიღწევათა დანერგვის, სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების მიზნით.

და მაინც, დღესდღეობით გვიხდება ლაპარაკი დარგის სერიოზულ ჩამორჩენაზე, მისი ინტენსიფიკაციის რეზერვების არასაკმარის გამოყენებაზე. ხუთწლედის ოთხი წლის მანძილზე რესპუბლიკამ ერთხელაც ვერ შეასრულა ხორცისა და რძის წარმოების ვალდებულებები, რის გამოც სახელმწიფოს ათასობით ტონა პროდუქცია დააკლო.

საქართველოს საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების დონეს მოწმობს ასეთი მონაცემებიც. შარშან აქ ძროხაზე მიღებულია 1421 კილოგრამი რძე, — ერთი ტონით ნაკლები, ვიდრე საშუალოდ ქვეყანაში, ხოლო 69 რაიონიდან 18-ში ნაწველმა ძლივს შეადგინა ათასი კილოგრამი.

რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში წვრილი ფერმები ჭარბობს. ეს, ბუნებრივია, აძნელებს მათს მექანიზაციას. მაგალითად, მანქანით წველიან ძროხების მხოლოდ 15 პროცენტს. ამას კი შრომის უდიდესი დანახარჯები მოსდევს. ცენტნერ პირუტყვის წონა-ნამატსა და ცენტნერ რძეზე საქართველოს კოლმეურნეობებმა შარშან შესაბამისად 110 და 17 კაცსაათი დახარჯეს. ეს თითქმის ორჯერ მეტია საერთო საკავშირო მაჩვენებლებზე.

ჯოგის დაბალი პროდუქტიულობის, ფერმების სუსტი ტექნიკური აღჭურვილობის და ბევრი სხვა მიზეზის გამო რესპუბლიკა მეცხოველეობის ეკონომიური მაჩვენებლებით უკანასკნელ ადგილზეა ქვეყანაში. 1965 წლიდან მან მეურნეობებს თითქმის 290 მილიონი მანეთი დაუკარგა.

რა გზით შეიძლება ასეთი მდგომარეობიდან თავის დაღწევა, ამ პირობებში სავსებით მართებულად უნდა მივიჩნიოთ მეცხოველეობის სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის, სამრეწველო საფუძველზე გადაყვანის კურსი, რომელიც რესპუბლიკაში ხორციელდება. უახლოეს წლებში ამაზე დება რძის საწარმოო კომპლექსები 27 ათასი ძროხისათვის, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის გამოსაზრდელი და სასუქებელი სამრეწველო ფერმები 30 ათასი სულისათვის, ბევრი მეფრინველეობის ფაბრიკა და მოსამზადებელი საწარმო.

უკვე შენდება ახალი მეცხოველეობის ფერმები და სამეურნეობათშორისო კომპლექსები და მიმდინარეობს მოქმედთა მოდერნიზაცია. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს წნორის კომპლექსს 20 ათას სულზე მეტი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისათვის.

წლითიწლობით იზრდება სოფლად მშენებლობის მასშტაბი, მატულობს საპროექტო და სხვა სამუშაოთა მოცულობები. ეს მოითხოვს სამშენებლო ინდუსტრიის ყველა რგოლის შემდგომ სრულყოფას, ამავე დროს იგი ახლაც ვერ ართმევს თავს გაზრდილ დატვირთვას, ხშირად ირღვევა ობიექტების ნაბარების ვადები, მდარეა სამუშაოთა ხარისხი, უკვე თითქმის რვა წელია შენდება საგარეჯოს მეფრინველეობის ფაბრიკა. მშენებლობა ჯერ არ დამთავრებულა, მაგრამ ზოგიერთი მოქმედი კორპუსი უკვე მოითხოვს კაპიტალურ რემონტს. ამგვარი მაგალითი ბევრია. ობიექტების მშენებლობისადმი მთელი რიგი სამშენებლო ორგანიზაციების უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შედეგად რესპუბლიკაში უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ვერ ათვისეს 80 მილიონამდე მანეთი.

სერიოზული კრიტიკის ღირსია მეცხოველეობის სადგომთა განლაგების არსებული პრაქტიკა. სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს სასოფლო მშენებლობის საპროექტო ინსტიტუტი ხშირად უსიტყვოდ ემორჩილებიან ერთ-ერთი კოლმეურნეობის ბაზაზე შეიქმნა პირუტყვის გამოზრდისა და გასუქების სამეურნეო-ბათშორისო გაერთიანება, რომელშიც სპპიო წესით შევიდა რაიონის ყველა მეურნეობა. საკვების ბაზის შესაქმნელად გამოყოფილია სავარგულები, აგრეთვე იმ მიწების ნაწილი, რომლებსაც წინათ არ ამუშავებდნენ. მოხარდეული ძველ რეკონსტრუირებულ სადგომებში პაკადათ. ინტენსიური გასუქება ღია მექანიზებულ მოედნებზე მიმდინარეობდა. მიღებულმა შედეგებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. თუ წინათ რაიონს ყოველწლიურად ზარალი ჰქონდა, ახლა მარტო ერთ წელიწადში მას მეცხოველეობამ 454 ათასი მანეთი მოგება მისცა. წელეულს, როგორც ეკონომისტებმა გამოიანგარიშეს, ეს თანხა მილიონს მიაღწევს.

— ზოგიერთს ჰგონია, რომ იქ, სადაც ჩაი, ციტრუსი, ყურძენი ხარობს, მეცხოველეობა არ შეიძლება რენტაბელური იყოს, — ამბობს პარტიის გურჯაანის რაიკომის პირველი მდივანი შ. ეცადაშვილი. — მაგრამ ამ აზრს სრულიად აბათილებს ჩვენი მეურნეობების პრაქტიკა.

ახლა მოხარდეულის ინტენსიური სუქება უკვე ორგანიზებულია რესპუბლიკის 64 რაიონში. მოწინავე მეურნეობათა გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საქმის სწორი ორგანიზაციის დროს შეგვეძლია მივიღოთ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის 800 გრამამდე საშუალო-სადღე�ამსთ მატება და წლინახევრის ასაკში ჩავაბაროთ ნასუქი მოზარდეული. ჯერჯერობით კი მიმღებ პუნქტებში შემოსული პირუტყვის თითქმის მესამედი საშუალოზე ნაკლები ნასუქობისაა.

ცნობილია, რომ მეცხოველეობის ინტენსიფიკაცია წარმოუდგენელია, თუ სასელეკციო-სანაშენე მუშაობის სისტემა კარგად მოგვარებული და სწორად ორგანიზებული არ არის. უკანასკნელ ორი-სამი წლის მანძილზე რესპუბლიკაში ბევრი რამ გაკეთდა ამ მიმართულებით. შეიქმნა 25 სასელექციო სადგური, ასზე მეტი სანაშენე მეურნეობა. და მაინც სამუშაოთა ძირითადი მოცულობა წინ არის: ძროხების ხელოვნური წონა ხომ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ჯოგში 28 პროცენტს არ აღემატება. ამასთანავე მათი მესამედი ყოველწლიურად ბერწად რჩება. ბევრი მეურნეობა ჯეროვნად არ იფასებს ცხოველთა სამრეწველო შეჯვარების მეთოდს.

საქართველოს ფერმების მშრომელთა წინაშე ფრიად პასუხსაგები ამოცანა დგას. პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა დაეხმარონ მათ ჩამორჩენის დაძლევაში, განსაზღვრონ მეცხოველეობის განვითარების სწორი, მეცნიერულად დასაბუთებული გზა. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ამ დარგს შეუქმნან მტკიცე მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს მის სწრაფ აღმავლობას.

გ. ლებანიძე,
„პრავდის“ კორ.
საქართველოს სსრ
„პრავდა“, 11 სექტემბერი.

შეჯიბრების ინიციატორებთან

ავამოქმედოთ ყველა რეზერვი

საუბარი პარტიის ლანჩხუთის რაიკომის პირველ მდივანთან ო. ღლონტთან

წელეულს ლანჩხუთის რაიონის მშრომელებმა პატრიოტული ინიციატივა გამოიჩინეს, სკკპ XXV ყრილობის აღსანიშნავად ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება საზოგადოებრივი მეცხოველეობის მთელი სულადობის საკუთარი წარმოების საკვებით უზრუნველყოფისათვის. ყიზლარის საზამთრო საძოვრებზე კოლმეურნეობებისათვის ათასი ტონა სოიის, ჩალის დამზადებისათვის და მოუწოდეს დასავლეთ საქართველოს მიწათმოქმედებსა და მეცხოველეებს, აგროსპეციალისტებსა და ზოოტექნიკოსებს ამოქმედონ საკვები რესურსების გადიდების ყველა რეზერვი. — განაცხადა „კომუნისტის“ თანამშრომელთან საუბარში საქართველოს კპ ლანჩხუთის რაიკომის პირველმა მდივანმა ო. ღლონტმა.

პირობის შესრულების გადამწყვეტი დღეები დადგა. რაიონის პარტიული ორგანიზაცია სათაკეში ჩაუდგა საზოგადოებრივი მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შესაქმნელად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებას. ამ დიდ ლაშქრობაში თავიანთ სატყვას ამბობენ კომუნისტები, კომკავშირლები. ახალგაზრდობა. ყოველდღე 100-მდე საკვებმომპოვებელი ბრიგადის წევრები მუშაობენ თივის ოვებზე. სილოსისა და სენაჟის დამზადებაზე. დღეში მზადდება 1.200 ტონამდე ყველსახის საკვები.

დიდი ყურადღება ეჭცევა მაღალყუთიანან საკვებს — სენაჟს. 20 სექტემბრისათვის გეგმით უნდა დაგვემზადებინა 2.000 ტონა სენაჟი, ვალდებულებით — 3 500 ტონა. ფაქტიურად ვადაზე, 10 სექტემბრისათვის ადრე მოვიმარაგეთ 3.580 ტონა სენაჟი. ამ მიმართულებით მუშაობა კვლავ გრძელდება.

ამგვარად სწორი ტემპით მიმდინარეობს უხეშ საკვების, მათ შორის თივისა და სილოსის დამზადება. ვალდებულებით შუალეკორ კულტურებიდან ტურნეფი უნდა დაეთესათ 100 ჰექტარზე. ეს დავალება წარმატებით განაღდეს. ასევე დათესა 100 ჰექტარი რაფსი, რაც პირობის 100 პროცენტს შეადგენს.

ვალდებულების ერთ-ერთ მუხლში ჩაწერილი იყო ჩოხატაურის რაიონის მეცხოველეებს დახმარებოდნენ სენაჟის ჩასადებად 180 ტონა ნედლი მასით. ფაქტიურად გამოუყვეს 25 ჰექტარი სათიბი და ჩოხატაურელებმა 260 ტონაზე მეტი მწვანე მასა გამოიყენეს სენაჟის დასამზადებლად. გარდა ამისა, მაიაკოვსკის რაიონის მეცხოველეებს გაეწოდეს მეგობრობის ხელი, სენაჟის დასამზადებლად დაუთმეს 5 ჰექტარი სათიბი.

პირუტყვისათვის საკვების დამზადების საქმეში. ნაირი ვალდებულების შესრულებაში დაწინაურდნენ მამათის კოლმეურნეობის საკვებმომპოვებლები, რომლებმაც 900 ტონის ნაცვლად მოიმარაგეს 1.000 ტონა სილოსი. ასევე გადაჭარბებით კაანალიზეს შუალეფური კულტურების თესვის გეგმა-ვალდებულება. ნიგვზიანის კოლმეურნეობის გეგმა-ვალდებულებით 100 ტონა სენაჟი უნდა დაემზადებინა, ფაქტიურად პირობას 50 ტონით გადაჭარბა. ამ დღეებში 1000 ტონა სილოსის ჩადების პირობასაც შეასრულებენ. იგივე ითქმის ჯორეულეთისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობებზე.

პარტიის რაიონულმა კომიტეტმა, რაიასპკომის აღმასკომმა „ლოსოლის მეურნეობის სამმართველომ სპეციალური თათბირი მოიწვიეს საკვების დამზადების საკითხზე, ისაუბრნენ მოწინავე კოლმეურნეებს, მეცხოველეებს, საკვებმომპოვებლებს. დადგინდა, რომ რაიონში არის შესაძლებლობა ვგეგმით გათვალისწინებული 8.528 ტონა საკვები ერთიელისა და ვალდებულებით ნაკისრი 12.735 ტონის ნაცვლად პირუტყვისათვის დამატებით დაამზადეს ათასი ტონა საკვები ერთიელისულ — 13.735 ტონა.

სასახელოდ შეასრულეთ ნაკისრ ვალდებულებას, პირუტყვისათვის შეამზადეთ საკუთარი წარმოების საკვები. ყიზლარის საზამთრო საძოვრებზე მყოფ კოლმეურნეობათა ცხვრის ნორმალურად გამოზამთრების მიზნით დახმარების სახით გავუგზავნეთ ათას ტონა საკვებს თანმეთესა და ყაზბეგის რაიონებს. ლანჩხუთის რაიონის მოსახლეობას მიეყიდით 6 ათას ტონა უხეშ საკვებს, ღირსეულად შეეხვდებით სკკპ XXV ყრილობას — ასეთი დევიზით მუშაობენ ლანჩხუთელი მშრომელები.

□ □

ფეიერი ჟურნალი მეცხოველეებისათვის

გეგეჭკორი. (საკ. კორ.). რაიასპჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილება საჭირო ყურადღებას უთმობს მთის საძოვრებზე მყოფ მეცხოველეთა კულტურულ-მხატვრულ მომსახურებას.

ამას წინათ სოფელ აბედათის კულტურის სახლის აქტივისტები ასხის მთაზე მყოფ მეცხოველეებს ესტუმრნენ და მათთვის მოაწყეს ზეპირი ჟურნალი თემაზე: „მტკიცე საკვები ბაზა და თავდადებული შრომა მეცხოველეობის განვითარების საფუძველია“.

ასხის მთაზე მყოფთ ესაუბრნენ ჯოლევის და კურუხუს სასოფლო კლუბების გამგეები ბ. ნიკოლაევა და ა. მიქაია, საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორი ი. ჩაბრავა. აგიტმხატვრულმა ბრიგადამ კონცერტი გამართა.

მსჯელობენ ისტორიკოსები

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ეროვნული პოლიტიკის პრობლემებისადმი მიძღვნილი სემინარი

11 სექტემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის — საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ისტორიის ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში მუშაობა დაიწყო სამეცნიერო სემინარმა პრობლემაზე „საბჭოთა კავშირის კომუნისტური ერის ეროვნული პოლიტიკა და იდეოლოგიათა ბრძოლა თანამედროვე ეტაპზე“ და ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის **გ. ნ. ვაჩნაძისა** (სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტი) — „სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ იმპერიალისტური პროპაგანდის ნაციონალისტური კონცეფციის „კრიტიკა“.

სემინარზე მოისმინეს აგრეთვე მოხსენება „სამოქალაქო ომის წლებში (1918-1920 წლები) საბჭოთა რუსეთის მშრომელთა მიერ ინტერნაციონალური მისიის შესრულება“, ამ საკითხზე გამოვიდა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი **ა. ჰ. ნენაროკოვი** (სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სსრკ ისტორიის ინსტიტუტი).

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის **ვ. ვ. ნათშელაძის** (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი) მოხსენება მიეძღვნა თემას „მუშათა კლასი თავისი ბუნებით საზოგადოების „ყველაზე ინტერნაციონალური კლასი“. „საბჭოთა შეარაღებული ძალები მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის დიდი სკოლა“ — ასეთი თემა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის **ი. ბ. ბაბალაშვილის** (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი) მოხსენების თემა.

სემინარის მუშაობაში მონაწილეობენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. ი. სირაძე** და საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი **ნ. ვ. გურგენიძე.**

12 სექტემბერს სემინარი განაგრძობს მუშაობას. (საქინფორმი).

სამეცნიერო სესია

მიეძღვნა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის XXX წლისთავს

სსკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის — საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის დარბაზში გაიმართა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის 30 წლისთავისადმი მიძღვნილი გაერთიანებული სამეცნიერო სესია. სესია მოიწვიეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა პარტიის ისტორიის ინსტიტუტმა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა.

მოხსენება „ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ოცდაათი წლისთავი“ გააკეთა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა დოცენტმა ი. ონიკაძემ.

„ვიეტნამის მშრომელთა პარტია“ — ასეთი იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ა. მექვაბიშვილის მოხსენების თემა.

(საქინფორმი).

„კომუნისტის“ კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

ფერმა და მისი მნეველები

რედაქციას უპასუხებენ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო და საქართველოს კპ მცხეთის რაიკომი.

ამ სათაურით „კომუნისტში“ დაიბეჭდა კრიტიკული წერილი, რომელშიც მსჯელებული იყო დანაშაულებრივი მოქმედებანი მცხეთის რაიონის ავჭალის მერძეობის საბჭოთა მეურნეობაში.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ გ. გეფტაძემ რედაქციას აცნობა, რომ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ კრიტიკულ წერილში მსჯელებული ფაქტები **სინამდვილეს შეეფერება.** გამოძიება განახლდა. მეურნეობის ფერმის ბრიგადირი ფ. ბუაბაძე მიცემული იქნა პასუხისგებაში. მას სასამართლომ სათანადო სასჯელი მიუზომ.

მცხეთის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების საგამოძიებლო ჯგუფის უფროსი ს. დვალი, რომელმაც დაუზუსტებელ მასალებზე დაყრდნობით შეწყვიტა სისხლის სამართლის საქმე, აგრეთვე სხვა სახის დარღვევებისათვის, განთავისუფლებულია თანამდებობიდან.

პარტიის მცხეთის რაიკომმა რედაქციას აცნობა:

„კომუნისტში“ გამოქვეყნებული კრიტიკული წერილი სათაურით „ფერმა და მისი მწველავები“, რომელშიც მსჯელებული იყო დანაშაულებრივი მოქმედება ავჭალის მერძეველების საბჭოთა მეურნეობაში, **სინამდვილეს შეეფერება.** რაიკომის ბიურომ იმსჯელა მეურნეობაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ და არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად დასახა კონკრეტული ღონისძიებანი.

ახალგაზრდოგის თაოსნოგა

ზუგდიდის რაიონის კომკავშირელები, ახალგაზრდები რესპუბლიკის ახალგაზრდობის მზარდამზარ ჩაებნენ სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის, ყრილობისადმი ლენინური კომკავშირის პატაკზე ხელმოწერის უფლებისათვის.

მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების საქმეში რაიონის ახალგაზრდობის აქტიურად ჩაბმისა და ამ საქმეში ქმედითი კონტროლის დაწესების მიზნით შეიქმნა ოპერატიული რაიონული შტაბი — „მუსპამელი-75“.

რაიონის ახალგაზრდობა თავდადებით იბრძვის დასახული ამოცანის — 22.300 ტონა სილოსის, 3.000 ტონა სენაჟის, 6.300 ტონა თივისა და 12.000 ტონა ჩაღის დამზადებისათვის, რათა რაიონის საზოგადოებრივი პირუტყვი თბილი წლის განმავლობაში უზრუნველყონ წვნიანი და უხეში საკვებით.

ეს დროულად და მაღალხარისხოვნად რომ შესრულდეს, ამისათვის მათ პატრიოტული ინიციატივა გამოიჩინეს, მხარი დაუჭირეს დარჩელის საშუალო სკოლის მოსწავლეთა ინიციატივას, რომ თვითთულმა მოსწავლემ შეაროსოს 200-200 კილოგრამი თივა. რაიონის ახალგაზრდობამ მიიღო გადაწყვეტილება სიმინდის ყანებში, მდინარეების ნაპირებზე, ტყე-ბუჩქებსა და ჭარმაფარ ზოლებში დაამზადონ 2.500 ტონა თივა, რაც თივის დამზადების რაიონული ბუნების 90 პროცენტს შეადგენს.

გავითვალისწინეთ წახალისების მორალური და მატერიალური ფორმების შერწყმის ეფექტურობა. კომკავშირის რაიკომის ბიუროს დადგენილებით საპრიზო ადგილებზე გამოსული სასკოლო, საკოლმეურნეო, საბჭოთა მეურნეობების კომკავშირული ორგანიზაციებისათვის საჩუქრად დავაწესეთ პიანინობი, ტელევიზორები, მაგნიტოფონები; საკვებმომპოვებელთა ბრიგადებისათვის — მუსიკალური საკრავები; შეჯიბრებაში გამარჯვებული ახალგაზრდებისათვის — საზღვარგარეთ ტურისტული მოგზაურობის უფასო საგზურები, ფულადი პრემიები.

ყოველდღიურად ვაჯამებთ წინა დღის გაწეულ მუშაობას. დღევანდ ახალგაზრდებმა 1.200 ტონაზე მეტი თივა დაამზადეს.

რაიონის კომკავშირულ ორგანიზაციას, მის ახალგაზრდობას სწორედ ესმით ამ ინიციატივის სახალხო-სამეურნეო და პატრიოტული მნიშვნელობა. რაიონის პარტიული ორგანიზაციების დახმარებითა და ხელმძღვანელობით ისინი მალე უპატაკებენ სამშობლოს ნაკისრი ვალდებულებების წარმატებით შესრულებას.

გ. ფიფია,
საქართველოს ალკპ ზუგდიდის რაიკომის პირველი მდივანი.

მეცხოველეობა—დამკვრელური უბანი

ასილოსებენ სიმინდს

ალბაა გაგრის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სანაშენე საბჭოთა მეურნეობის მინდვრებში. ადრე დილიდან გვიან საღამომდე უანებში გაისმის კომბაინების, ტრაქტორებისა და თვითმავალი სათიბელების გუგუნი, რომლებიც ასილოსებენ სიმინდს და თიბავენ წვნიან ბალახს. საბჭოთა მეურნეობის ცენტრალურ კარ-მიდამოში ზედიზედ შედიან სახილოსე მასით დატვირთული მანქანები და მისახმელები.

ჩინებულად შრომობენ ამ დღეებში კომბაინერები ვლადიმერ იაროსლავცევი, ივანე ფილატოვი, ვლადიმერ კოროლიოვი და სხვა მექანიზატორები. საბჭოთა მეურნეობაში მტკიცე საკვები ბაზის შექმნა საშუალებას იძლევა ფერმამ წლიდან წლამდე უხვად მიიღოს რძე.

სურათებზე: მარცხნივ ხასილოსე სიმინდის მასის აღება; (მარჯვნივ) კომბაინერი **ივანე ფილატოვი,** რომელმაც საკვების დამზადებაში თავი ისახელა.

ი. ჯოხაძეს ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ელვენ ცელები...

თიბავენ კუდოს, გომეწრის, კანატის, ჩარგლის მთებში

გამითენია, ჩემო ცელო,
ქადებს გამოგიცხობენო.
ხალხური.

ჟურნალისტებს ხშირად გვეუბნებიან: — ეცადეთ თქვენი წერილები იყოს საქმიანი, მიზანსწრაფული, ერიდეთ პეიზაჟებს, უსაგნო მხატვრობას, ფუჭად ნუ დაკარგავთ ქაღალდს და მელანს... ეს ყველაფერი მართალია, მაგრამ როგორ შეიძლება ფშავ-ხევსურეთის საოცნებო მთებში მოხვედეთ და არაფერი თქვათ აქაური ბუნების სილამაზეზე, თვალწარმტაც პეიზაჟებზე, მწვერვალთა საუფლოზე, საიდანაც ნახევარი საქართველო ჩანს.

მართალი უთქვამთ, თუ მთის გამქვეარვალე ჰაერი არ გისუნთქავთ, აქ გათიბულ თივაში არ გძინებიათ, ნაბადში გახვეულს ღამე ბრდღვიალა ვარსკვლავები არ დაგითვლიათ, ბევრი, ძალიან ბევრი სიამოვნება დაგიკარგავთ ამ ქვეყანაზეო.

ახლაც ავტომანქანამ ერთი ხვნეშით და დავიდარაბით კუდოს მთაზე რომ აგვიყვანა, ჩვენს სიხარულს საზღვარი არა აქვს. აქ ცასთან ახლოს ადამიანს ავიწყდება ცხოვრების ყველა წვრილმანი, ბარში რომ ყოველთვის თან გვახლავს. მივეცდით მთიბელებთან, აგერ მახლობელ ფერდობს რომ შესცქერიან. სათიბებზე სიარული ჭირს, ტყავისლანჩიანი ფეხსაცმელი გაეხილოვით სხლტება, ფეხს ვერ ვიმაგრებთ, ქვემოთ კი სიშიში უფსკრულია, თუ ფეხი აგიცდა — მშვიდობით!

სადაც კი ადამიანის თვალი მიწვდება, ყველგან თივის ზვინებია, კუდოს მთაზე, რომელიც მაღაროსკარის ვაჟა-ფშაველას სახელობის კოლმეურნეობის ტერიტორიაა, და განა მარტო კუდოს მთაში, ყველგან სადაც კი მწვანე სათიბებია, გაჩაღებულია დიდი ლაშქრობა, რათა ბარტყუყს დაუმზადონ ათასობით ტონა საკვები. იყო დრო, როცა მთაში მთიულეთ-ფალდამაყარსა და ფშავ-ხევსურეთში ნამჯა რა იყო, არ იცოდნენ, მთა უმეტეს საკვებად არ ხმარობდნენ, მერე მეურნეობები იოლ და ამავე დროს, ძალზე სახარალო გზას დადგნენ, ყოველწლიურად დაიწყეს ნამჯის შემოზიდვა კახეთისა და ქართლის რაიონებიდან, უამრავ ფულს ხარჯავდნენ ზოგჯერ ნახევრად დამპალი ჩალისათვის.

წლეულს, როცა გვალვამ არ დაგვინახო არც მთაში და არც ბარში, საგანგაშო მდგომარეობა შეექმნა. ნოიის ზამთრის საძოვრებზე გავარვარებულმა ხორშაკმა ბალახი გადაწვა, აგერ რამდენი თვეა ციდან ნამი არ ჩამოვარდნილა, თვალწვდენელ მინდვრებში არაფერი გათიბულა, არა და დაახლოებით ერთ თვეში მაღაროსკარელებისა და მომთაბარე მეცხვარეობის მეურნეობა თა ცხვარი საყოზლაროდ გაემზადება. მაგრამ სანამ ეს მოხდება, საჭიროა გვქონდეს საკვების საადგილდგომო მარაგი. ამჟამად მაღაროსკარელები ალბეთში შეძენილ ნამჯას რკინიგზით ჩრდილოეთ კავკასიაში გზავნიან ცხვრის გამოსაკვებად.

ისმება კითხვა: რა ეშველება ნსხვილფეხა რქიან პირუტყვს, რომელმაც ადგილზე უნდა იზამთროს? ერთადერთი გამოსავალია აქვე მთებში დამზადებული თივა, რისთვისაც მთელ დუშეთის რაიონში გამოცხადებულია საყოველთაო-სახალხო ლაშქრობა. თივის დამზადებაზე მონაწილეობენ ქალიც და კაციც, ახალგაზრდაც და ხანშიშესულიც, ბავშვებიც. მაღაროსკარის საშუალო სკოლის მოსწავლეებს დღემდე 14 ტონაზე მეტი თივა აქვთ დამზადებული, ასეა ბევრ სხვა სკოლაშიც.

კუდოს, გომეწრის, კანატის, ჩარგლისა და სხვა მთებში თივის აღებაზე ასობით კაცი და ქალი მუშაობს. მთიბლობა კავკასიონის მთებში ყოველთვის იყო სახელოვან ვაჟაკაცთა საქმე, ბევრჯერ მსმენია ამა თუ იმ ვაჟკაცზე ქებათ ნათქვამი: „რა მთიბელი ყოფილა და მე არ ვიცოდი სამ ოდენსა სთიბს, არ იცის დაღალვა რა არი, არც გამოუვა ოფლი! მთელი დღე თუნდა მუხთ არ ჩამაიხრის, მაგისად არაფერია“...

იმ წუთში სწორედ იმ მუხლჩაუხრელ ვაჟკაცებთან მივისწრაფოდით, რომლებიც ჩვენგან რაღაც სამასიოდე მეტრზე აღელვებდნენ ცელებს.

მთიბავები ხელსურები აღმოჩნდნენ, მათს ცელებს მზეზე კაშკაში გაუდიოდა, მოთიბული ბალახის შრიალი რაღაცნაირ მუსიკას ჰქმნიდა, თორმეტი ვაჟკაცი ცელების ქნეეთ მოიწევდნენ წინ და მათ უკან რჩებოდა გათიბული ბალახის ზოლები.

ამოთავეს ნამრეული და ჩვენც მივუახლოვდით, სალამზე — მაგიხეელთ მშვიდობითო! — გვიპასუხეს. ოფლი შეიმშრალეს და იქვე ჩამოსხდნენ. სალეხი ქვები მოიმარჯვეს და ცელების ლესვას შეუდგნენ. თურმე ოცდაათი განმქმელი მთიბელი ჩამოსულა ხევსურეთიდან. მაღაროსკარს, სათითაოდ ჩავიწერე მათი გვარი და სახელი. აი, ისინი: ალუდაურები გიორგი, მიხეილი და ბაბო, ქეთელაურები დავითი, გიორგი და ზალვა, ჭინჭარაულები ალექსი, გოგი, ბერდია, გიგილო, კიკარგად ჩანდა მათ უბე-კალთას შეფარებული სოფლები — მაღარო და მაღაროსკარი, გომეწარი და კანატია, კუმეჭა, შარახევი, ეიას საბუდარი ჩარგალი, უფრო შორს ნისლში — თვალიავი, ხარტიშო, გუდურუხი, სწროფავი. თუ მთის წვერზე ავალთო, — თქვა კობამ, — დედაქალაქსაც დაგანახვებთო.

მკითხველმა სასურველია იცოდეს, რომ მთები ორგვარია — საძოვარი და სათიბი, კუდოს მთაში, მაგალითად, პირუტყვს არ უშვებენ, რადგან საუკეთესო სანათესაოდ ემსახურება ადგილობრივ ეკონომიკას. ეს ადგილები ბაზა და თავდადებული შრომა მეცხოველეობის განვითარების საფუძველია“.

ასხის მთაზე მყოფთ ესაუბრნენ ჯოლევის და კურუხუს სასოფლო კლუბების გამგეები ბ. ნიკოლაევა და ა. მიქაია, საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორი ი. ჩაბრავა. აგიტმხატვრულმა ბრიგადამ კონცერტი გამართა.

...

ეს გაცილებით მეტია შარშანდელზე.

აუცილებელია მთების სიმდიდრე, რომელსაც ბაბოს ყენება უნდა. მასპინძლებმა არაგვს ვალმა კუმეჭას მთები დაგვანახვეს. ხედავთ, როგორი სათიბებია? — გვეკითხებოდნენ. ვხედავდით, როგორ არ ვხედავდით მწვანე, ოდნავ სიყვითლეშეპარულ ფერდობებს, რომელზეც ხალჩასავით ვაფლილი მდიდარი სათიბები, როგორც თქვეს, დაახლოებით 3 ათასი ჰექტარია, კუმეჭას თივა სამწუხაროდ ყოველწლიურად იკარგება უგზოობის გამო. კოლმეურნეობას დაგეგმული აქვს უკანატის გზის გაჭრა (არსებობს პროექტიც), სადაც შეიძლება 600-ზდე მეწველი ძროხის შენახვა. მერე რა მშვენიერი ადგ

მსოფლიო დღეს

ვითარება პორტუგალიაში

კონსულტაციები გრძელდება. აგრარული რეფორმა პორტუგალიაში

ლისაბონი, (საკდესის კორეს-პონდენტი ვ. კოვალიოვი გვატყობინებს):

აქ დაიწყო პორტუგალიის მე-6 დროებითი მთავრობის შექმნის საკითხზე კონსულტაციათა ახალი ტური.

პრეზიდენტი კოშტა გომეში და ახალი პრემიერ-მინისტრი პინეიროუ დე აზევედუ შეხვდნენ მთელი რიგი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს. მათ მიიღეს აგრეთვე მშრომელთა ერთიანი პროფცენტრის ინტერსინდიკალის დელეგაცია, რომელმაც ჩამოაყალიბა მიმდინარე პოლიტიკური მომენტის შეფასება. პინეიროუ დე აზევედუ შეხვდა ყოფილ პრემიერ-მინისტრს ვასკუ გონსალვეშს და მასთან ერთად იმსჯელა შექმნილ მდგომარეობაზე.

პრასის ცნობების თანახმად, ახალმა პრემიერ-მინისტრმა ძირითად პოლიტიკურ პარტიებს წარუდგინა ახალი მთავრობის პროგრამის პროექტი.

ახალი მთავრობის ჩამოყალიბება ნელა მიმდინარეობს სოციალისტური და სახალხო დემოკრატიული პარტიების პოზიციის გამო, რომლებიც აყენებენ კაბინეტში თავიანთი მონაწილეობის სხვადასხვა პირობებს. სახალხო-დემოკრატიული პარტიის ლიდერებმა თავიანთ განცხადებებში აშკარად გაიღაშქრეს შეიარაღებული ძალების მოძრაობისა და რევოლუციური საბჭოს წინააღმდეგ.

ლისაბონი, (სკდესი). პორტუგალიის რევოლუციის ერთ-ერთი ძირითადი მონაპოვარია აგრარული რეფორმა. ამას ხაზს რომ უსვამს, დედაქალაქის გაზეთი „დიარიუ დი ლიშბაო“ აღნიშნავს, რომ რთული ვითარებისა და ლატიფუნდისტების წინააღმდეგობის მიუხედავად, პორტუგალიამ მთელი რიგი დიმინუნტური ნაბიჯები გადადგა სოფლის გარდაქმნის გზაზე. შეიზღუდა მიწის მფლობელობის ზომა. ბევრმა ვლეჰმა მიიღო მიწა. მთავრობამ ოცი პროცენტით და მეტად გააფასა სასუქები, გაზარდა ხორცის

ბრალი ედებათ ნეოფაშისტებს

რომი. (საკდესი). შეთქმულების მომზადება, იარაღის უკანონო ტარება, გატაცების ცდა — ეს და მთელი რიგი სხვა ბრალდებანი წაუყენა რომის პროკურატურამ 86 ნეოფაშისტს გამოძიების შემდეგ, რომელიც თითქმის ხუთი წლის განმავლობაში გრძელდებოდა. ლატიანელი სახელმწიფო გადატრიალების ცდაზე, რომელსაც ამზადებდნენ „ავი თავადი“ ვალერიო ბორგეზე, უკიდურესად მემარჯვენე ორგანიზაცია „ქართა ვარდი“ და სხვა ნეოფაშისტური დაჯგუფებები. საბრალდებო დასკვნაში, სხვათა შორის, ნახსენებია თავდაცვის საინფორმაციო სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელის გენერალ ვიტო მინელის, იტალიის სოციალური მოძრაობა — ეროვნული მემარჯვენე ძალების — ნეოფაშისტური პარტიის დეპუტატი პარლამენტში ს. საკუჩი, ბრიგადის გენერალი უ. რიჩი, რომლებიც მონაწილეობდნენ შეთქმულებაში.

სასამართლო გამოძიების მასალებში აღნიშნულია, რომ შეთქმულება აპირებდნენ ძალაუფლების ხელში ჩაგდებას, ძლიერი სახელმწიფოს შექმნას, პარტიათა გამოყენას მთავრობიდან.

იტალიის დემოკრატიული საზოგადოებრიობა მოითხოვს მკაცრად დასჯონ არა მარტო მემარჯვენე ექსტრემისტები, რომლებიც ნახსენები არიან საბრალდებო დასკვნაში, არამედ ყველა ისინიც, ვინც ჯერჯერობით ჩრდილშია, მაგრამ ხელმძღვანელობდა და აფინანსებდა შეთქმულებას.

ვ. კისინჯერის პრეს-კონფერენცია

ვაშინგტონი, (საკდესი). პრეს-კონფერენციაზე გამოსვლისას ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჰ. კისინჯერი შეეხო მთელ რიგ საგარეო-პოლიტიკურ პრობლემებს, მათ შორის დაძაბულობის შენელებას საკითხებსა და საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობას.

დაძაბულობის შენელების პოლიტიკა, თქვა მან, მიზნად ისახავს შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობაში დაძაბულობის შენელებას. იგი ნაკარნახევია ორი დიდი ატომური სახელმწიფოს რეალური პირობებით და იმ ფაქტით, რომ მათ შესწევთ ძალა, მოსპონ კაცობრიობა.

ამ-ტომ შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს, განაცხადა ჰ. კისინჯერმა, იკისრებათ განსაკუთრებული პასუხისმგებლობა განახორციელონ თავიანთი პოლიტიკა ისეთნაირად, რომ მინიმუმამდე შეამცირონ ომის საფრთხე.

ახლა დაძაბულობის შენელების ცდებს, მინირთავენ რამდენიმე დონეზე. ამასთან დაკავშირებით მოლაპარაკებას სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ — შეთანხმებას, ორმელსაც მივაღწევთ, და შეთანხმებას, რომლის დაღებასაც ვეცდებოდეთ, — უპირველესი მნიშვნელობა აქვთ.

საბელმწიფო მდივანმა აღნიშნა, რომ ძირითადი საკითხები პრინციპულად მოგვარდა ვლადივოსტოკში. დიდი მნიშვნელობის მთელი რიგი სხვა საკითხები მოგვარდა ვლადივოსტოკის შეხვედრის შემდეგ განსელილ დროში, ახლა, მისი თქმით, დარჩა ორი თუ სამი სფერო, სადაც ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ შეთანხმებას.

არ მიგვაჩნია, განაცხადა ჰ. კისინჯერმა, რომ ჩვენი ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან იდეალური იყოს. ჩვენ იდეოლოგიური მოწინააღმდეგენი ვართ, და, იდეოლოგიური უთანხმოების გარდა, გვაქვს საპირისპირო ეროვნული ინტერესები. მიუხედავად ამისა, ჩვენი აზრით, დაძაბულობის შენელების პოლიტიკა აუცილებელია, და ჩვენ ვაპირებთ კვლავაც განვახორციელოთ იგი.

მოსალოდნელია ცხარე კამათი

ტოკიო. (საკდესის კორ.). ორთვიანი შესვენების შემდეგ იაპონიის პარლამენტის რუხ პირამიდულ შენობაში ივლავ უამრავი ხალხია: ორივე პალატის 740-ზე მეტი დეპუტატი შეიკრიბა დღეს პარლამენტის რიგგარეშე სესიაზე.

მთავრობა აპირებს პარლამენტს განსახილველად და დასამტკიცებლად წარუდგინოს ექვსი შეთანხმება და ხელშეკრულება, აგრეთვე სამ ათეულამდე სხვადასხვა კანონპროექტი, რომლებიც ძირითადად უკავშირდება ახლანდელი კრიზისული მდგომარეობიდან ქვეყნის ეკონომიკის გამოსვლის გზების ძიებას. პარლამენტის ზედა და ქვედა პალატების პლენარული სხდომები დაიწყო მმართველი პარტიისა და ოპოზიციის მწვავე წინააღმდეგობათა ვითარებაში. ოპოზიციური პარტიები, უწინარეს ყოვლისა კომუნისტური, სოციალისტური და კომეიდოს პარტია, აცხადებენ, რომ ლიბერალ-დემოკრატთა მთავრობას არა აქვს ეკონომიური დაქვეითების დაძლევის კონკრეტული გეგმა, რომ მის მიერ წამოყენებული ღონისძიებანი სანახევრო ხასიათისაა, და მხოლოდ მონოპოლიათა ინტერესებს შეესაბამებიან.

პარლამენტში, როგორც ადგილობრივი პოლიტიკური მიმომხილველები წინასწარმეტყველებენ, ცხარე კამათი გაჩაღდება ახლანდელი მთავრობის საშინაო-ეკონომიური პოლიტიკის გამო.

ფოტოინფორმაცია



ახლა შემოდგომაზე ქალაქი პლოვდივი (ბულგარეთი) კვლავ მიიღებს სტუმრებს მსოფლიოს ყველა კუთხიდან, რომლებიც თავს მოიყრიან საერთაშორისო ბაზრობაზე. მისი დახურვისთანავე კი დაიწყება ბაზრობის ტერიტორიის გაფართოება. განზრახულია აიგოს 100.000 კვ. მ საერთო ფართობის ახალი პავილიონები, რომელთა ნაწილი მდინარე მარიცაზე ტივტივებზე აიგება. სურათზე: ბაზრობის ქალაქის ცენტრალური შესასვლელი.

ბიზანი — საყოველთაო მეუღლობა

მშვიდობის პროგრამა დაძაბულობის შენელების გადამწყვეტი ფაქტორია

იმაში, რომ ამას წინათ ჩვენი პლანეტის ხალხებმა მეორე მსოფლიო ომის დამთავრების 30-ე წლისთავი საერთაშორისო დაძაბულობის შენელების ატმოსფეროში აღნიშნეს, ღრმა სიმბოლური აზრია. საბჭოთა კავშირის გადამწყვეტი მეცადინეობა ფაშიზმისა და იაპონიის მილიტარიზმის წინააღმდეგ ანტიჰიტლერული კოალიციის ბრძოლაში ისტორიული კამარჯვება დამთავრდა. ამჟამად სსრ კავშირი მშვიდობისათვის ბრძოლის მოწინავე ხაზზე იმყოფება და ამის მკაფიო დადასტურებაა სკკპ XXIV ყრილობის მიერ შემუშავებული მშვიდობის პროგრამის თანამიმდევრული განხორციელება.

ეს არის საერთაშორისო კლიმატის გაჯანსაღების, თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობათა მთელი სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების საფუძველზე გარდაქმნის ფრიად აქტუალური და ამავე დროს ღრმად რეალისტური, კონკრეტული და კონსტრუქციული პროგრამა. როგორც ცნობილია, იგი ითვალისწინებს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში და ახლო აღმოსავლეთში ომის კერების მოსპობას, სახელმწიფოებს შორის ურთიერთობაში ძალის და ძალით მუქარის გამოუყენებლობას, ევროპის კონტინენტზე მშვიდობისა და დაძაბულობის შენელებისაკენ მკვეთრ შემობრუნებას და აქ კოლექტიური უშიშროების იდეის ცხოვრებაში განხორციელებას, მასობრივი მოსპობის ყველა სახის იარაღის აკრძალვას, კოლონიალიზმისა და რასიზმის საბოლოოდ მოსპობას, სხვადასხვა სოციალური წყობის ქვეყნებს შორის ურთიერთხელსაყრელი სავაჭრო-ეკონომიური თანამშრომლობის გახვითარებას. შემთხვევითი როდია, რომ სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნები, რომლებსაც აკავშირებთ ერთნაირი სოციალური წყობა, მიზნებისა და იდეოლოგიის ერთიანობა, მშვიდობის პროგრამას განიხილავენ, როგორც საერთო საგარეო-პოლიტიკურ პლატფორმას და აქტიურად უწყობენ ხელს მის განხორციელებას.

ამჟამად მშვიდობისათვის ბრძოლის რომელიც ნებავთ მიმართულება ან უბანი რომ აიღოთ, ყველგან ჩანს კეთილსასურველი ცვლილებები. იმპერიალისტური აგრესიის და ანტიხალხური მარიონეტული რეჟიმების წინააღმდეგ ინდოჩინეთის ხალხების გმირული ბრძოლის შედეგად, ბრძოლისა, რომელიც სსრ კავშირისა და სოციალიზმის სხვა ქვეყნების, მთელი პროგრესული ძალების სოლიდარობასა და მხარდაჭერას უყრდნობა, შესაძლებელი გახდა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ომის კერის ნაკრობა. ამან მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მსოფლიოს საერთო პოლიტიკური კლიმატის გაუჯანსაღებლებას.

სერიოზული ძვრები ხდება ევროპაში — კონტინენტზე, რომელიც საუკუნეების მანძილზე სისხლისმღვრელი ომების ასპარეზი იყო, და რომელმაც ორი მსოფლიო ომი გადაატანა. სსრ კავშირისა და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნების ინიციატივა, რომელსაც მხარი დაუჭერეს დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებმა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და კანადამ, ამ სახელმწიფოების ხელმძღვანელთა ისტორიაში უპრეცედენტო შეხვედრით დაგვირგვინდა. ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირმა კოლექტიურად შეაჯამა მეორე მსოფლიო ომის პოლიტიკური შედეგები, ცხადყო „ძალის პოზიციის“, „ცივი ომის“ პოლიტიკის უნაყოფობა და მავნეობა. თათბირის შედეგად მიღწეული ხელშეკრულებები — ეს არის შეჯამება ყოველივე იმ პოზიტიურისა, რაც მიღწეულ იქნა მანამდე ევროპის კონტინენტზე, და რამაც სათანადო საერთაშორისო-სამართლებრივი განმტკიცება ჰპოვა ორმხრივი შეთანხმებების სახით, რომლებიც დაიდო უკანასკნელ წლებში ერთი მხრივ საბჭოთა კავშირსა და მეორე მხრივ საფრანგეთს, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას, ამერიკის შეერთებულ შტატებს, დიდ ბრიტანეთს, იტალიას, კანადას შორის, აგრეთვე სხვა ქვეყნებს შორის. ამასთან თათბირის შედეგები მტკიცე მშვიდობის გზაზე ევროპის შემდგომი წინსვლის, ხალხთა ცხოვრებიდან ომის გამორიცხვის საწყისი პუნქტიც არის.

სრულიად ევროპის თათბირი უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობის მოვლენა გახდა. მან დასაბამი მისცა საერთაშორისო დაძაბულობის შენელების ახალ ეტაპს და მნიშვნელოვან ნიმანსვეტად იქცა სხვადასხვა სოციალური წყობილების მქონე სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების დამკვიდრების გზაზე. ამასთან აღსანიშნავია, რომ შეთანხმებები, რომლებიც მიღწეული იქნა თათბირზე, სავსებით უპასუხებენ მშვიდობიანი თანაარსებობის იმ პრინციპებს, რომლებიც თავის დროზე შემუშავებულ იქნა ისტორიაში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ფუძემდებლის ვ. ი. ლენინის მიერ, და რომლებმაც შემდგომი განვითარება ჰპოვეს მშვიდობის პროგრამაში.

ამ პროგრამის სულისკვეთებით საბჭოთა კავშირმა არა ერთი ნაბიჯი გადადგა, რომლებიც მიზნად ისახავდნენ გამაღლებული შეიარაღების შეზღუდვას, მასობრივი მოსპობის იარაღის აკრძალვას. ამ დარგში მიღწეულია სერიოზული წარმატებები. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ, მაგალითად, 1973 წლის 22 ივნისს ვაშინგტონში ხელმოწერილ საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეთანხმებას ატომური ომის თავიდან აცილების შესახებ, აგრეთვე სხვა შეთანხმებებს სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის დარგში.

სსრ კავშირი სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად აქტიურად მონაწილეობს ვენაში მიმდინარე მოლაპარაკებაში ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების ურთიერთშემცირების შესახებ.

მშვიდობის პროგრამის შესაბამისად სსრ კავშირი სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად აქტიურად იბრძვის კოლონიალიზმისა და რასიზმის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ. განსამთავისუფლებელი მოძრაობის წარმატების შედეგად დაეშხო უკანასკნელი კოლონიური იმპერია — პორტუგალია. სსრ კავშირი გადაჭრით უჭერს მხარს ზიმბაბვეს (როდეზია) და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ხალხების ბრძოლას რასისტული რეჟიმების წინააღმდეგ.

იგი ყოველთვის უწევდა და უწევს მრავალმხრივ დახმარებას ახალგაზრდა სახელმწიფოებს მათი ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცებაში.

ფართოდ არის ცნობილი აგრეთვე სსრ კავშირის და სხვა სოციალისტური ქვეყნების მეცადინეობა მშვიდობის პროგრამით გათვალისწინებული ურთიერთხელსაყრელი საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებისათვის, რომელიც დაძაბულობის შენელების მატერიალურ საფუძველს წარმოადგენს. წლითიწლობით იზრდება მათი საქონელბრუნვა კაპიტალისტურ ქვეყნებთან, თუმცა მისი მოცულობა ჯერ კიდევ ყოველთვის რიდი შეესაბამება არსებულ შესაძლებლობებს და ზოგჯერ აწყდება ყოველგვარ დისკრიმინაციულ შეზღუდვებს, რაც „ცივი ომის“ ერთ-ერთ გადმონაშთს წარმოადგენს. სსრ კავშირის ორმხრივი ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობა ზოგიერთ კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან გრძელვადიანი შეთანხმების საფუძველზე ვითარდება. ასეთი შეთანხმებები დადებულია, მაგალითად, საფრანგეთთან, გფრ-თან, ავსტრიასთან, ფინეთთან, იტალიასთან, ინგლისთან. უმაღლეს დონეზე სსრ კავშირ-ამერიკის მესამე შეხვედრის დროს (1974 წლის 27 ივნისს — 3 ივლისს) ხელმოწერილ იქნა 10 წლისათვის გათვალისწინებული შეთანხმება სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ეკონომიური, სამრეწველო და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ. საბჭოთა კავშირი თავის მხრივ ყველაფერს აკეთებს დაძაბულობის შენელების პროცესის გაფართოებისათვის, რათა იგი შეუქცევადი გახდეს.

მაგრამ საერთაშორისო ურთიერთობის მშვიდობიანი თანაარსებობის საფუძველზე გარდაქმნის პროცესი თავისთავად რიდი ხდება, იგი დიდ მეცადინეობას მოითხოვს. თვითეული ზღუდე მტკიცე მშვიდობის გზაზე ბრძოლით, იმპერიალიზმის ყველაზე რეაქციულ და აგრესიულ ძალებთან და მათ დამჭაშებთან მწვავე შეტაკებებით იღება.

ამჟამად მსოფლიოში მიმდინარეობს ბრძოლა ორ ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენციას შორის. ერთი მათგანია მშვიდობიანი თანაარსებობის საფუძველზე საერთაშორისო დაძაბულობის შენელების, მშვიდობის განმტკიცების და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების ტენდენცია, მეორე — „ცივი ომისაკენ“ დაბრუნების, საერთაშორისო ვითარების გამწვავების, გამალებული შეიარაღების ტენდენცია.

დაძაბულობის შენელების წინააღმდეგ ბრძოლაში, არსებითად, ერთიანი ფრონტით გამოდიან სამხედრო ბიზნესი, ულტრამემარჯვენე და კონსერვატიული ელემენტები, მემარჯვენე და „მემარცხენე“ რევიზიონისტები, მაოისტები. მათ ყველას აერთიანებთ ერთი რამ — თავშეუკავებელი ანტიკომუნიზმი და ანტისოვეტიზმი. ისინი ცდილობენ ჩრდილი მიაყენონ იმ ღრმა გავლენისადან მიღებულ შთაბეჭდილებას, რომელსაც აბდენს მშვიდობის პროგრამა საერთაშორისო ვითარების მთელ განვითარებაზე. ისინი აყალმებენ სსრ კავშირის, მთელი სოციალისტური თანამეგობრობის საგარეო პოლიტიკის მიზნებს. რად ღირს, მაგალითად, მათი ის მტკიცება, თითქოს მშვიდობის საბჭოთა პროგრამა მიზნად ისახავდეს სოციალისტური ქვეყნების მიერ რაიმე „ცალმხრივი სარგებლობის“ მიღწევას, თითქოს დაძაბულობის შენელება სხვა არაფერია, თუ არა „ცალმხრივი მოძრაობის ქუჩა“. მაგრამ განა საერთაშორისო კლიმატის დაობობით მარტო სოციალისტური ქვეყნები არიან მოგებულნი? განა დაძაბულობის შენელების პირობებში უფრო დიდი რწმენით არ ცხოვრობენ, ვთქვათ, ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ან ინდოეთის ხალხები? განა საქმიანი თანამშრომლობის განვითარება სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობის სახელმწიფოებს შორის არ ეხმარება კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელებს ახლანდელი ეკონომიური კრიზისის დაძლევაში, უმუშევრობის ზრდასა და ცხოვრების მატერიალური დონის დაქვეითებას რომ იწვევს?

და მაინც დაძაბულობის შენელების მოწინააღმდეგეები აქტიურად მოქმედებენ ამ პროცესის დამუხრუჭებისათვის, სურთ მსოფლიოს ახლანდელი განვითარება „ცივი ომის“ შავბნელ დროში დაბრუნონ. ისინი მარტო თვით დაძაბულობის შენელების იდეის შელახვას როდი ცდილობენ. ისინი ცდილობენ ჩაფეშონ ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგება, გაამწვავონ ვითარება მსოფლიოს სხვა რაიონებში, რასაც მოწმობს, კერძოდ, კვიპროსისა და პორტუგალიის ამბებთან დაკავშირებული მოვლენები, ცდილობენ გამოსახონ ახალ-ახალი საბაბი ომისათვის, რათა ხელი შეუშალონ განიარაღების საქმეში წარმატების მიღწევას.

ასეთ პირობებში სსრ კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები ატარებენ მტკიცე ხაზს, რომელიც მიზნად ისახავს დაძაბულობის შენელების პროცესის განვითარებაში ყოველგვარ შეფერხებათა დაუშვებლობას. ისინი კეთილსინდისიერად და ლოიალურად თანამშრომლობენ ყველასთან, ვისაც მშვიდობა სურს და რეალიზმის მყარ საფუძველზე დგას, ისინი საკადრის პასუხს აძლევენ საერთაშორისო პროვოკაციებისა და ავანტურების ორგანიზატორებს, გამალებული შეიარაღების მომხრეებს.

მიუხედავად თანამედროვე საერთაშორისო ვითარების სირთულისა, საბჭოთა კავშირი სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნებთან ერთად განაგრძობს თავის „მშვიდობიან შეტევას“. მშვიდობის პროგრამის განხორციელების შედეგად შესაძლებელი გახდა მსოფლიო ომის საშიშროების თავიდან აცილება, საერთაშორისო კლიმატის საგრძნობლად გაუჯანსაღება. მშვიდობის პროგრამა საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პროცესის მნიშვნელოვან, გადამწყვეტ ფაქტორად იქცა.

ახალი ვითარება, ბუნებრივია, ახალ ამოცანებს სახავს მშვიდობისათვის ბრძოლაში. დღეს საბჭოთა კავშირი სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებთან ერთად ყველაფერს აკეთებს მათი შესრულებისათვის ისინი მზად არიან აქტიურად იმოქმედონ ამავე მიმართულებით მომავალში.

ვ. კაჩანოვი.

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი (აას).

მოსალოდნელია ცხარე კამათი

ტოკიო. (საკდესის კორ.). ორთვიანი შესვენების შემდეგ იაპონიის პარლამენტის რუხ პირამიდულ შენობაში ივლავ უამრავი ხალხია: ორივე პალატის 740-ზე მეტი დეპუტატი შეიკრიბა დღეს პარლამენტის რიგგარეშე სესიაზე.

მთავრობა აპირებს პარლამენტს განსახილველად და დასამტკიცებლად წარუდგინოს ექვსი შეთანხმება და ხელშეკრულება, აგრეთვე სამ ათეულამდე სხვადასხვა კანონპროექტი, რომლებიც ძირითადად უკავშირდება ახლანდელი კრიზისული მდგომარეობიდან ქვეყნის ეკონომიკის გამოსვლის გზების ძიებას. პარლამენტის ზედა და ქვედა პალატების პლენარული სხდომები დაიწყო მმართველი პარტიისა და ოპოზიციის მწვავე წინააღმდეგობათა ვითარებაში. ოპოზიციური პარტიები, უწინარეს ყოვლისა კომუნისტური, სოციალისტური და კომეიდოს პარტია, აცხადებენ, რომ ლიბერალ-დემოკრატთა მთავრობას არა აქვს ეკონომიური დაქვეითების დაძლევის კონკრეტული გეგმა, რომ მის მიერ წამოყენებული ღონისძიებანი სანახევრო ხასიათისაა, და მხოლოდ მონოპოლიათა ინტერესებს შეესაბამებიან.

პარლამენტში, როგორც ადგილობრივი პოლიტიკური მიმომხილველები წინასწარმეტყველებენ, ცხარე კამათი გაჩაღდება ახლანდელი მთავრობის საშინაო-ეკონომიური პოლიტიკის გამო.

დამს ვენებლის თვალით

სიამოვნება და სინანული

განა ეს ფვრილმანებია?

ასე იყო თუ ისე, საგზურები მივიღე და კურორტზე გასამგზავრებელ ფაცი-ფუცს მივეყარეო. ბავშვს, რომელიც მიმყავდა დასასვენებლად, არა ორგორც ათი წლისას, არამედ დიდივით ვუყურებდი, რადგან მისი საგზურის ღირებულებაც იმდენია, რაც დასრულებული ადამიანისა — ასორმეცი მანეთი.

აი გაგრაც, თავისი სიმშვენიერით, ლამაზი და მიმზიდველი ბუნებით, სანატორიუმებითა და დასასვეებელი სახლებით, მოლიცლივე ზღვით, მცსუნვარე მზით... რაიდეი რომ გაკეთდა ამ ბოლო წლებში ქალაქ-კურორტის კეთილსწყობისათვის, ადამიანთა დასვენებისა და კულტურული მომსახურებისათვის, ახალი ჯამმრთელობის კერები, ხეტიენები, გაზონები, დამსვენებელთა მოდიმარი სახლები...

საგზურს ერთხელ კიდევ დავხედე და გადავიკითხე: საქართველოს სსრ ჯამმრთელობის დაცვის სამინისტროს მეოთხე სამმართველოს გაერთიანებული სანანატორიუმი „თბილისი“, დასასვენებელი სახლი „გაგრა-გრეებშოკი“.

დასასვენებელი სახლი „გრეებშოკი“ მართლაც დიდეიულ ადგილას არის. ზღვისა და მთის ჰაერი ერთმანეთთან არის მერწყმული. როგორც მოზრდილებს, ისე პატარებს დასასვენებლად ბუნებას ეს ადგილი უნავად დაუჯილდოვებია. დამსვენებელთა ახალი ნაკადის მიღებაც კარგად მოგვიწყია. ექიმმა დ. ჭასტურიამ, რომელსაც ჯანმრთელობის ფრონტზე მუშაობაში თმა გასთეთრებია, რეკვა-დარიგება მოგვცა, თუ როგორ უნდა გავატაროთ „გრეებშოკში“ დასვენების დღეები, და განკუთვნილი ორასებისაკენ გზა დაგვიღოცა.

როგორც ყველა დასვენებელი, სწრაფად შევეფეკი ბარგის დალაგებასა და ზღვის ნაპირზე წასაალეკლად მზადებას. მაგრამ გასაბერი კამერა არა მაქვს. მოვიკითხე გამქირავებელი ბუნქტი, მაგრამ ასეთი ადგილზე არ აღმოჩნდა. გულდაწყვეტილი ჩავეკეი ზღვისაკენ მიმავალ გზას. ხეების პირას ცეკვენტის კიბეებია. ვითვლი საფეხურებს, ერთი, ათი, ოცი, ასი, ას ოცი... ხეები ანტისანიტარიაა. კანალიზაციის ხიღები დაზიანებულია, სპრინცელი სუნი ტრიალებს. გზის პირას მდგომი ცეცხლფაერები ბაბაზიანი ბრეხობს დასვენებელთა უკმაყოფილებას. ის ამბობს, სანეიტსდგურმა ამას წინათ კიდევაც დაგვიჯარმა, მაგრამ ჩვენი ბრალი არ არისო, მშენებლები თავიდანვე დაუდვრად მოგვიდნენ საქმეს, და აი შედეგიფო.

რკინიგზის ლიანდაგის ქვეშ გავედით და ზღვის სანაპიროზე მოვხვდით. აი ეს არის ის ადგილი, სადაც ოცდაოთხი დღე უნდა დავყოთ.

ტანსაცმლის ერთი გასახდელი ფარდალაა და წაქცეული გდია, მეორესთან კი რიგია. ჩვენი ჯერიც დადგა და ზღვას მივაშურეთ. ვეკეი ქვებზე ადამიანები ძლივს დადიან. ზღვაში კი ფრთხილად შედიან, რომ ფლების განმავლობაში ხავსმოდებულ ვეებერთელა ქვებზე ფეხი არ დაუსლტეთ. პლაჟი მოუწყობელია, შხაპები არ არის. სამა-ოთხი წლის ბავშვები ქვიშას დაეძებენ, მაგრამ სად არის. ზოგიერთი დამსვენებელი ქვაზე ჩამოჯდარა და ზღვაში ქვებზე დაზიანებულ ფეხებს ასაჩერებია...

— ჩვენი დამსვენებლების ერთი ნაწილი გაგრაში დადის სამანაოდ — მეუბნებენ ერთ-ერთი, მეორე კი დამძახეს: „გრეებშოკიდან“ მხოლოდ დილით გადის სანანატორიუმის მანქანა, ორი საათის შემდეგ უკანვე ბრუნდება და მას უნდა გამოკ ყვეს კაცი. ბედს შეეურიგდი. ზღვა ზღვაა და ბავშვიც უყრიხებსა და ეშცრსოებში შეერია და გულმა წყლისაკენ გაუწია... ცოტა ხანი დავყავთ. შეცბუნებული ამოვყავი კიბეებს. ერთს ერიოდე წლის ბავშვი აუტოტრეი ხელში და მოკ-ყავს, მეორე ბავშვი დედას მისძახის, ფეხიკო, დავიდალე, ამიყვანე.. ის კი უკმაყოფილოდ ჰკიდებს ბავშვს ხელს და ამბობს: რაში გადამასდევინეს ამდენი ფული?

ვიგრძენი, რომ არც თუ იოლია ამ დაკიდებულ კიბეებზე ჯაკის სიარული. მით უმეტეს, თუ გული გაწუხებთ.

გვითხრეს, როგორც სანატორიუმ „უკრაინაშია“ გაკეთებული ზღვის ნაპირას ჩასასვლელად ლიფტი, ეაც ისეთის გაკეთებას ფიქრობენო. ფიქრი წლების განმავლობაში ოცნებად გადაიქცა.

თვალს ავლებ, აკვირდები დასასვენებელი სახლის გარემოს, და კაცს გული გტკივა, რომ მზრუნველი ხელი არ იერძნობა. მრავალწლიანი ნარგავები ხმება, შემცველილის დარგვაზე კი ნაკლებად ფიქრობენ. ელექტროლანპიონებისათვის სპეციალური ბოძები არ არის დაყენებული, ისინი ლურსმნებით არის ხეებზე მიკრული. ზოგიერთ ტოტზე ელექტრომავთულია შემოხვეული და ზედ ნათურაა დაკიდებული. არც კავშირგაბმულობის მუშაკების უფიქრიათ ბევრი და ტანყრილ ხეებზე ფიცრები მოუჭედიათ, ზოგიერთი ხისათვის ლიათონის ხრახნი ჩაურჭვიათ გულში და ზედ ტელეფონის ხაზი გაუჭიმავთ... ასე უკურადღებობით ზეზეულად იტანჯებიან ეა ვდებიან ხეები.

ტელეფონის ხაზიო, ვთქვით, მაგრამ რა ტელეფონზეა ლაპარაკი, რომელ კავშირგაბმულობის განყოფილებიდან ვერც ერთ დასახლებულ პუნქტში ვერ დაელაპარაკებინ, ერთადერთი ტელეფონის ნომრით სარგებლობენ კავშირგაბმულობის კვანძისა და დასასვენებელი სახლის მომსახურე პერსონალი, დამსვენებელი...

დასასვენებელი სახლიდან ზღვისაკენ მიმავალი გზის ქვემოთ სპორტული მოედნის მოწყობა დაუწყიათ. მიწის მოზრდილი ნაკვეთისათვის ბავთულის ბადეც შემოუელიათ, მაგრამ მისასვლელი გზების გაკეთება მიუტოვებიათ.

იქნებ რამე ინატროთ, რომ დასასვენებელი სახლის ტერიტორიაზე ან მის მახლობლად მაღაზიაში შეიძინოთ, ან პირის გასაპარსად სპპარიკმახერო მოიკითხოთ. არც ერთია და არც მეორე. დამსვენებლებს შორ მანძილზე (გაგრაში) უხდებათ სიარული პირველი მოთხოვნილების საგნების შესაძენად.

სასმელი წყალიც პრობლემად არის გადაქცეული „გრეებშოკში“. არსებული წყალი ძალზე თბილია და რატომ? ის სამირდე კილომეტრიდან არის გამოჭავნილი. მილები მიწის ზედაპირზეა და თბება. ამიტომ დამსვენებლებს ხშირად ქალაქ გაგრიდან თერმოსებით მოაქვთ სასმელი წყალი.

ალბათ გაინტერესებთ, რას ვიტყვით თვით კვების შესახებ.

გრეებშოკელ დამსვენებლებს შორის არც თუ იშვიათად გაისმის საყვედური კვებასა და მის ხარისხზე.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მეოთხე სამმართველოში გვაცნობეს, რომ ზემდგომი ორგანოების წინაშე დასმულია საკითხი ბავშვთა საგზურის ღირებულების გადასინჯვის შესახებ, მაგრამ ჯერჯერობით ვერ გადაწყდა.

დამსვენებლებისათვის მარტო ზღვა და ჰაერი არ არის საკმარისი.

„გრეებშოკში“ დამსვენებლებისაგან მოითხოვენ 15 დღით ადრე შეუკვეთონ რკინიგზის ბილეთები. რა ქნან, როგორ მოიქცნენ ის მოქალაქეები, რომლებსაც თორმეტდღიანი საგზურები აქვთ?!

მკითხველს ამ წერილის გაცნობის შემდეგ. მითუმეტეს „გრეებშოკში“ მყოფ დამსვენებლებს, ერთი აზრი დაებადება:

„გრეებშოკის“ დასასვენებელი სახლი, რომელიც გაგრის სანატორიუმის „თბილისის“ ფილიალია, სათანადო ყურადღებას, დახმარებასა და მზრუნველობას მოითხოვს.

ა. ალიბეგაშვილი.

ბაბრა-„გრეებშოკი“.

„კომუნისტის“ ფოსტიდან

მკითხველთა სტრიქონები

თელავლოა. რაიკოოპერატივის დამზადების კანტორამ (დირექტორი ვ. ფხაკაძე) გეგმით გათვალისწინებული 250 ტონის ნაცვლად მოსკოვის, ლენინგრადისა და პერმის მშრომელებს გაუგზავნა 253 ტონა კურკოვანი ხილი. ხილის დამზადებაში თავი ისახელეს ძეგრის, ახალი თერჯოლის, ზეედა სანაოს, თუზის, გოგნის სასოფლო საბჭოებმა და თერჯოლის სადაბო საბჭოს დამზადება-შესყიდვის პუნქტებმა.

3. კუტალაძე.

ჩხოროწყუ. „1975 წელი — მსოფლიოს ქალები“ — ასე ეწოდება წიგნების გამოფენას, რომელიც მოაწყო სარაიონო ბიბლიოთეკამ. აქ წარმოდგენილია ლიტერატურა თემაზე,—„მსოფლიოს ქალები მშვიდობისათვის ბრ

თგილისი ინტერნაციონალისტთა ქალაქია

ერთი სიმღერის კვალდაკვალ

რამდენი ხანია ერთი ფიქრი მოსვენებას არ მაძლევდა, მაწუხებდა და: აბუზარი კითხვის ნიშანივით სულ თან დამდევდა; ხდება თუ არა ცხოვრებაში. შესაძლებელია თუ არა, ახალგაზრდა ქალმა ერთხელ შეხვედრილი უცნო ვაჟისთვის საკუთარი სიცოცხლე საფრთხეში ჩააგდოს? (რა თქმა უნდა, ამ მიმთხვევაში ტრიელისა და ნესტან-დარეჯანის ელდა-სიყვარულს არ ვგულისხმობდი). ანდა, თუ გასწორავს თავს, — რა სიტუაციაში, როგორ და რის გულისთვის? ეს ფსიქოლოგიური ფაქტორი ერთი პიესისთვის მჭირდებოდა, რომელზეც აგერ მესამე წელია ვმუშაობ და თავი ვერ მოვიბამ.

ორიოდე თვის წინათ ჰასუხს მოულოდნელად მივაგენი და, აი როგორ:

ცნობილი რუსი პოეტი ეევგენი დოლმატოვსკი თავისი მომხიბლავი მუღლით ძიროსლავთი სპბეთოა ლიტერატურის დეკადის მოელვარე და მოუცველი დღეების მერე ერთ საღამოს შინ მეწვია. ჩვენი ურთიერთობა, რომელიც აგერ ორ ათეულ წელზე მეტია გრძელდება, ეარგა ხანია თავისთავად მეგობრობაში გადაიზარდა და, ბუნებრივია, ერთმანეთის ნახვა ძალზე აავიხარდა. სიტყვამოსწრებული, იუმორის გრძნობით უხვად დაჯილდოებული ძველი მეგობარი დიდი სიამოვნებით მიზიარებდა დასავლეთ საქართველოში, მახარაძელ მეჩაიეებთან, ქუთაისელ და ბათუმელ ამრომელებთან შეხვედრების შთაბეჭდილებებს. ჭიქა ჩაისთან. ხილთან ერთად, ჩვენი ეზოს „იზაბელას“ ნება-ნება შეეფქცოდით. სიტყვა სიტყვას მოჰყვა და ვიგონებდით ეკვატორულ აფრიკაში, სენეგალში მოგზაურობას, დაკარის კოლორიტულ ფესტივალს, მოსკოვში შეხვედრებს, რიგის ყურეში ხაძვებში ჩაფლულ მწერალთა შემოქმედებითს სახლში ერთად გატარებულ დღეებს.

გამოთხოვებისას მან საჩუქრად თავისი ახალი წიგნი დამიტოვა — „ევგენი დოლმატოვსკის ლექსებზე შექმნილი სიმღერები“. კრებულში ტექსტებთან ერთად დაბეჭდილია ნოტები და თვითეული სიმღერის ბიოგრაფიაც. ეს მეტად ორიგინალური წიგნი მკითხველს აცნობს რა პირობებში შეიქმნა ესა თუ ის სიმღერა და რამ შთაგონა პოეტს ესა თუ ის ლექსი.

ამ წიგნში შეტანილი სიმღერების დიდი უმრავლესობა ბევრმა ზეპირად ვიცით: ამ ლექსებმა მარტო ჩვენს ქვეყანაში კი არა, დედამიწის ხუთივე კონტინენტზე დიდი აღიარება ჰპოვა. ვკითხულობდი და ყურებში საამოდ ეღერდა ნაცნობი მელოდიები, ზოგი ჩემი ჰობეტობის დროინდელი, ზოგიც ახალი. დინჯად, თანმიმდევრობით ეფურცლავდი კრებულს, და როგორც იტყვიან, სიამოვნებას ვიგრძელებდი. უეცრად, 107-ე გვერდზე ჩემი ყურადღება მიიპყრო აქამდე უცნობმა სიმღერამ — „ადამიანებს ახსოვთ“ (კომპოზიტორი ოსკარ ფელცმანი). რამდენჯერმე გაფაცებითა გადავიკითხე ეს ლექსი და თარგმანსაც დაუყოვნებლივ შევუდექი. რამდენიმე დღე ვიწვალე, მაგრამ მაინც ვთარგმნე. იმიტომ ვიწვალე, რომ ამ საქმეში მაინცდამაინც დიდად გაწაფული არ გახლავართ. ისე ვთარგმნე, როგორც შემეძლო.

აი, ეს ლექსიც:

ნაწამებ და ტანჯულ ბელორუსიაში
ერთი ჩვენი ბიჭი ხელთ ჩაიგდეს მტრებმა,
ხელთ ჩაიგდეს მაშინ, როს თოშსა და ქარში
პარტიზანებისკენ გზას რომ მიიკვლევდა.
შავგვრემანი გახლდათ, — შეამჩნევდით უმალ
იგი საბრძოლველად ქართლით ჩამოსულა.
— ჰა, გამოტყდი ბარემ, მსტოვარი ხარ, ალბათ..
— რის მსტოვარი, ხალხნო, აგერ ვცხოვრობ
გალმა!..
წინ გაიგდეს თოვლში... ჰა, მიადგნენ ხუტორს,
ღრენენ პირძალლები, უმატებენ ქადილს:
— თუ ტყუიხარ, დაგხვრეტთ უხიტყვოდ და
უხმოდ,
თუ არა და თუნდაც ჯანდაბაში წადი!..
მაგრამ ვეჰკობთ, ვეჰკობთ გადაცმული თუ ხარ,
იქნებ მგელი კრავის ჯურქში გახვეულხარ!
უპასუხებს: „აქვე, სოფლის ბოლოს, აიქ,
აიმ ქოხში ცხოვრობს ჩემი ღვიძილი დაი“...
ო, მძიმეა, ძმიფა, იმ ქოხამდე ეს გზა,
მოლოდინში ლამის ორად გახცდეს გული..-
ფაშისტები კვლავაც ინთხევიან გესლოდ...
ჰა, ის ქოხიც... კართან ქალი ნარბშეკრული..
— გვითხარ, ამ კაცს იცნობ? გვიპასუხე
ფიცხლად!..
ქალს ეს ვაჟი უცნო არ უნახავს სიზმრად,
რა ქნას?!.. წუთიც... უცბად კოპებს შეკრავს
მკაცრად,
მჯიღით მოაცილებს ვაჟს საძულველ ბადრაგს.
— ძმაო!.. კიკის, ეკვრის... ყრუ ქვითინი ისმის,
ცრემლით ულბობს ლოყებს მსუხსავსა და
მჩხვლეტავს..
თვით სიცოცხლე იცავს წეღან სიკვდილმისჯილს!
პოლესიეს ახსოვს ეს ამბავი დღესაც.
იმ ორმოცდაერთში, იმ სუსხიან ზამთარს
შეიქმნა ეს ლექსიც, ვერ ვამთავრებ ამბავს..,
იქნებ ამ სიმღერამ ძმას — არგამტეხს ფიცის—
მოუძებნოს ის და, — ბელორუსულ სახლთან,
იქნებ ამ სიმღერას ძმა მოუსმენს ქართლში,
დას მოსძებნის მერე ბელორუსიაში!...

მკითხველი ალბათ მიხვდება ამ ლექსით ჩემი აკარეგად დაინტერესების მიზეზს. როცა თარგმანი, ასე თუ ასე, რაღაცას დავამსგავსე, უმალ ვიფიქრე, რადგან ნოტები დაბეჭდილია, ალბათ მისი მუსიკალური შესრულებაც არსებობს მეთქი. სამწუხაროდ, ჩვენი ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის ფონდში ეს სიმღერა არ აღმოჩნდა. არა და, გულით მინდოდა იგი ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებს უმეჭველად მოესმინათ, რასაკვირველია, თვით ლექსის გმირსაც, რომელზეც ცოტა ქვემოთ გესაუბრებით.

დაუყოვნებლივ დავეკავშირდი მოსკოვში ტელეფონით. დოლმატოვსკის. მანაც ჩემი ჩანაფიქრი მოიწონა და მესამე დღეს მაგნიტოფონის ფირზე ჩაწერილი სიმღერა უკვე ხელთ მქონდა.

ლექსი „ადამიანებს ახსოვთ“ დოკუმენტური გახლავთ: იმ ხანებში „პრავდამ“ გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომელიც ეუწყებოდა, —თუ როგორ მოხვდა ტყვედ ბლეხურად გადაცმული ქართველი სპბეთოა მეომარი და საკუთარი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებით როგორ იხსნა იგი უეცველი სიკვდილისაგან სრულიად უცნობმა ბელორუსმა კოლმეურნე ქალმა.

ბელორუსმა ჟურნალისტმა იური საპოჟკოვმა პირველმა მიაგნო მას. უცნობ ბელორუს ქალს თურმე უხსნია ჩამაცი კავალერისტი, გმირი, რომელსაც ბრიოლის ციდან 67-ე პოლკის დროშა გამოუტანია. თავდაცვის სამინისტროს არქივში აღმოჩნდა 1942 წლის 11 იანვრის ბრძანება, რომლის მიხედვით იგი დაჯილდოებულია საბრძოლო ორდენითა და რეალიაციითაც, სადაც აღნიშნულია: „გამოიტანა რა მტრის გარემოცვიდან პოლკის დროშა, მან მოწინააღმდეგის ზურგში მარტოდმარტომ კაიარა 200 კილომეტრზე მეტი“...

1941 წლის 2 აგვისტო. ომის დაწყებიდან მხოლოდ ერთი თვე და 12 დღეა გასული.სწორედ ამ დღეს უზბეკეთიდან ჩამოსული 21-ე კავალერიისტთა დივიზია ბასაარბიანთან ბრძოლებში გამობრძმედილი მეთაურის პოლკოვნიკ ეაუბ ჯულიევის ხელმძღვანელობით მოულოდნელად ჩაება ომში ლიმოვიჩის ჩრდილოეთით, გუსლიარკის ტყეში. დავალება: რაც არ უნდა დაუჯდეთ, დაიცვან კრიჩევ-როსლავლის სასიცოცხლო ტრასა. ღამით ეუცერად ისინი წააწყნენ გუდერიანის 24-ე სატანკო კორპუსს. ატეხა უთანასწორო ბრძოლა. მამაცი კავალერისტები ცხენებით ჯიქურ მიდიოდნენ კბილებამდე შეიარაღებულ, რკინაში ჩაჯდარ მტერზე, მაგრამ ვერა გაუწყეს რა. განსაკუთრებით დაზარალდა 67-ე პოლკი. მისი მამაცი მეთაური ა. მ. მაქსიმოვი გმირულად დაიღუპა. პოლკის კომისარმა ბ. გ. სესონმა, სოლად შეათასა რა არსებული ვითარება, ბრძანება გასცა საბრერთისაკენ დაიხიათ. ალაა ბაერღვიათ და დანიშნა შეხვედრის ადგილი. ხოლო დროშა, რომლის გადარჩენაზე იყო დამოკიდებული პოლკის ყოფნა-არყოფნის საკითხი, ჩაბარა ქართველ ჯარისკაცს — ყველაზე მამაც და სანდო მებრძოლს, რომელსაც მცველად ოთხი ჯარისკაცი გამოუყვეს. მებრძოლმა კატეგორიული ფარი განაცხადა მცველებზე. გიმნასტიორის ქვეშ. ტანზე შემოიხვია წმიდათაწმინდა დროშა და მარტოდმარტო გაუდგა გზას.

ის მამაცი ქართველი, თბილისელი, ინდუსტრიული ინსტიტუტის ახალგაზრდა კურსდამთავრებული ახალგაზრდა გიორგი ვასილის-ძე ჯაფარიძე გახლდათ! მიდიოდა ჯარისკაცი და მიჰქონდა უწმინდესი რელიქვია. ერთ დღის ტყეში მას შემოეერთდნენ პოლკოვნიკი ყულიევი და მისი თანამებრძოლები, სულ ხუთი კაცი. სურსათი უკვე გამოელიათ, ტრასაზეც ვერ გადავიდნენ, გიორგიც მშიერ-მწყურვალი გახლდათ და გადაწყდა: რადგან იგი გლეხურად გადაცმული და წვერმოშვებული იყო, სოფელში შეეგზავნათ.

აი, სოფელი, კრინიჩკაც. გზის ნაპირას გიორგი პურის საპყრობილედ მიმავალ ნამგლიან დედაკაცებს წააწყდა. მათ ერთი ახალგაზრდა ქალი გამოეყო და დამტვრეული ქართულით გამოელაპარაკა.

— ქართველი ხარ, კაცო?!

— ჰო...

— მე ქმართან ერთად თორმეტი წელიწადი ვიცხოვრე ბორჯომში, თქვენი სიკეთე ვიცი, სტუმართმოყვარეობაც. წამოდი შინ, დაგაპურო.

ჯარისკაცი . შეყოყმანდა.

— წამოდი, ნუ გეშინია, ჩემი ქმარი კომუნისტია... ახლა ფრონტზეა...

გიორგიც გაჰყვა, თავად მშიერს ტყეში ასევე დამშეული ხუთი კაცი ელოდებოდა. თანაც გუმანით მიხვდა, რომ ქალი გულწრფელი იყო. ასეც ახდა: ქალმა იგი შინ მისელისთანავე დაპურა. ამ ხანაგებისთვისაც საგზალი გამოუზეია და დაპირდა, მოდით და როგორმე, შარაგზაზე გადაგიყვანთო.

ის შარაგზა კი მტრის ტანკებით იყო ავსებული.

აი, გიორგი ტყეში ბრუნდება. დამშეულებმაც სული მოიბრუნეს და უმალ სოფლისაკენ გაუდგნენ გზას. წინ, მათგან კარგა დაცილებით ისევ გიორგი იიდიო. უეცრად ორმა გერმანელმა მეავტომატემ ბილიკი გადაუჭრა. გაქცევა შეუძლებელი იყო, — იქვე მიახვრეტდნენ. როცა მათ ვერა გაგებინეს რა, თარჯიმანს დაუძახეს, პოლოხელი აღმოჩნდა, ძლივს ამტვრევდა რუსულს.

— შეზობელი სოფლიდან ვარო, — უთხრა მათ გიორგიმ. — თუ არ გჯერათ, აგერ ამ ქოხში ჩემი ღვიძლი და ცხოვრობს და იმას ჰკითხეთო. მიიყვანეს ის ქალი, წეიელ-კოვალით შემოეხვია მას. ჩემი ძმა, ჩემი დაკარგული ძმა მოვიდაო. გერმანელებმა ორწმუნეს მათი და-ძმობა და თავი დაანებეს, თანაც ჩაძიების დროც არა ჰქონდათ, ჩქარობდნენ, მოსკოვისაკენ მიიწევოდნენ, ელდანაჭამი გიორგი უმალ გასცილდა იქაურობას, ამხანაგებთან დაბრუნდა და რის ვაი-ვაგლახით გაადწია იმ საბედისწერო ტრასას.

ორმოცდახუთი დღე მშიერ-მწყურვალი, ფეხშეშველი იარა ტბრის ზურგში ნიფათებითა და ფათურაკებით აღსავსე წამების გზაზე. რა არ გადახდა თავს, რამდენჯერ პირდაპირ თვალებში შესცქეროდა სიკვდილს და მაინც გადარჩა, გადაარჩინა პოლკის დროშა, შეურცხვენლად დაუბრუნა მშობლიურ ნაწილს, რისთვისაც დივიზიაში პირველმა მიიღო წოდელი ვარსკვლავის ორდენი და ოფიცრის წოდებაც.

ამის შემდეგაც სად არ იბრძოდა გიორგი ჯაფარიძე: 1942 წლის 19 ნოემბრიდან-სტალინგრადი, 1943 წლიდან ამ ლეგენდარული ბრძოლის მოგებას შემდეგ — სამხრეთ დასავლეთის ფრონტი, ბელორუსიის ფრონტი და ა.ი 1944 წელს ბელორუსიის დასავლეთით, ქ. რეჩიცის მისადგომებთან ძმამდე დაიჭრა... გამოჯანმრთელდა თუ არა, კვლავ დაუბრუნდა სამხედრო სამსახურს, აჯერად უკვე საინჟინრო ნაწილს, ხოლო ორი წლის შემდეგ მშვიდობიან — ცხოვრებას: მოიპოვა სამეცნიერო ხარისხი, ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას. დღეს გ. ჯაფარიძე უკვე ცნობილი გეოლოგია, თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გეოლოგიურ ფაკულტეტს ხელმძღვანელობს.

ის ქალი კი, მისი გადამრჩენი დღემდე უცნობი დარჩა. ეევგ. დოლმატოვსკის ლექსი დღესაც განაგრძობს მის ძებნას. სიმღერა მოავლეურ გადაიცა ბელორუსიის რადიოთი და ხალხში გავრცელდა. ეს სიმღერა დამკვიდრდა საბჭოთა არმიის ცნობილი ანსამბლის რეპერტუარში. გაფაციცებით ეძებენ უშიშარ ქალს ბელორუსი პიონერი კვალმაძიებლები და ჟურნალისტები, ეძებს ბელორუსიის ტელევიზია, ეძებს ქართველი ჟიტაციც თავის სიცოცხლისშეშინარუნებელ დას, იმ ადგილებშიაც ჩავიდა, მაგრამ ამაოდ, — სოფლის ნაცვლად ნასოფლარი დახვდა. იმ მადლიანი ქალის კვალიც არა ჩანს არსად, თითქოს მიწამ უყოო პირი.

ვინ იცის, იქნებ საკუთარი სიცოცხლის ფასად, კიდევ რამდენს შეუნარჩენა სიცოცხლე და ერთხელაც იყო — ჩაგარდა. ასეთებს გარეწრები არ ინდობდნენ. ან იქნებ, ახლა სადმე, ბელორუსულ ხუტორში მშვიდად ზის და შვილიშვილებს უყვება იმ ბობოქარ დღეთა დაუჯერებელ ამბებს.

ვინ იცის!.. ნეტამც ასე იყოს!..

მე კი და-ძმობაზე შექმნილმა მეგობარი პოეტის სიმღერამ გადამაწყვეტინა პრობლემა, რომელზეც წერილის დასაწყისში მოგახსენებდით: **დიახ, თურმე სრულიად უცნობ ადამიანებსაც ძალუძთ ერთმანეთისთვის, მართალი სიქმისთვის თავი გახეშარონ. ეს საბჭოური თვისებაა, ახალი ფორმაციის ადამიანთა თვისება!**

პირადულია და საერთოს ერთნაირი აღქმა, ხალხთა მეგობრობა, სიკეთე ომის სასტიკ წლებში ეფრო გამოვლინდა და განმტკიცდა. როგორც მაშინ, დღესაც ადამიანთა ზნეობრივი სიმაღლე ამ თვისებებით იზომება და ვისაც ეს ხელს არ აძლევს, საზოგადოებისაგან ირიყება.

ეს აქსიომად იქცა.

ბელორუსი უცნობი ქალის ზნეობრივმა მრწამსმა და სიკეთემ იხსნა ქართველი ჯარისკაცი, შეასრულებინა თავისი წმიდათა-წმიდა მოვალეობა.

შედეგი მრწამსისა და სიკეთისა: **დიდი სამამულო ომი რწმენით აღსავსე, კეთილი ნების ადამიანებმა მოიგეს!...**

ამირან აბზილავა.



„კომუნისტის“ ინტერვიუ

ახალი სეზონი, ახალი გეგმები

დღეს, 12 სექტემბერს, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში ფარდა კვლავ აიხდება. იწყება ახალი თეატრალური სეზონი. „კომუნისტის“ კორესპონდენტმა ახალ შემოქმედებითს გეგმებზე ესაუბრა თეატრის დირექტორი აკაკი ბაძრაძე. მან აღნიშნა:

— დღეს იწყება ჩვენი თეატრის ახალი სეზონი. წარმოვადგენთ ბ. ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრეს“. ვიდრე მომავალ გეგმებზე ვისაუბრებდეთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ შარშანდელი რეპერტუარიდან მაყურებელი ისევ ნახავს სპექტაკლებს „საშინელი ილის დედინაცვალს“, „ყვარყვარეს“, „ღალატს“, ხანუმას“, „სიბრალდებო დასკვნას“, „ანტიგონეს“, „ბერნარდ ალბას სახლს“ და სხვ., რომლებმაც პრესისა და მაყურებლის მოწონება დაიმსახურეს. რაც შეეხება მომავალ გეგმებს, მოგახსენებთ, რომ ახალ სეზონში წარმოვადგენთ ი. ჭავჭავაძის „კაცია ადამიანს“, ჯ. ბუაჩიძის „პლატონს“, ვ. კანდელაკის „დრო 24 საათს“.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობას გვიძღვნიან საბჭოთა დრამატურგის ა. გელმანის „დასაწყისი“, სადაც მოთხრობილია ერთი საწარმოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ. მოძმე რესპუბლიკების დრამატურგთა ნაწარმოებებიდან შევარჩიეთ ცნობილი ლიტველი დრამატურგის ი. გრუშასის „სიყვარული“ და ა. ეგუმაკი“, რომელიც ახალგაზრდა თაობის ცხოვრებას ეძღვნება და მასში საინტერესო პრობლემებია დასმული. უთუოდ ინტერესს იწვევს დიდი გერმანელი მწერლის ლესინგის „ნათან ბრძენის“ დადგმა, რომელსაც განახორციელებს საარბრიუკენელი რეჟისორი ბ. ვაქსმუტი.

ჩვენი მიზანია რუსთაველის თეატრმა ახალ სეზონში კვლავ შეინარჩუნოს მოქალაქეობრივი პათოსი და შემოქმედებითი აღმაფრენა.

ვახტანგ ლენინის ორდენოსანი მეხილეობა-მევენახეობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში ფარდა კვლავ აიხდება. იწყება ახალი თეატრალური სეზონი. „კომუნისტის“ კორესპონდენტმა ახალ შემოქმედებითს გეგმებზე ესაუბრა თეატრის ხელმძღვანელ ბ. ბერეტაშვილთან.

— ჩვენ ამ სეზონში ორ ახალ სპექტაკლს ვიზამთ. ერთ-ერთი ეს ბ. ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრეა“. ვიდრე მომავალ გეგმებზე ვისაუბრებდეთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ შარშანდელი რეპერტუარიდან მაყურებელი ისევ ნახავს სპექტაკლებს „საშინელი ილის დედინაცვალს“, „ყვარყვარეს“, „ღალატს“, ხანუმას“, „სიბრალდებო დასკვნას“, „ანტიგონეს“, „ბერნარდ ალბას სახლს“ და სხვ., რომლებმაც პრესისა და მაყურებლის მოწონება დაიმსახურეს. ამ ბოლო ხანებში ჩვენ ბევრ ადგილებში ვიმოგზაურეთ. ეს ბევრ ადგილებში ვიმოგზაურეთ. ეს ბევრ ადგილებში ვიმოგზაურეთ. ეს